შრომის ელექტროაღჭურვილობის მაჩვენებლის განხილვა დინამიკაში გვიჩვენებს, რომ იგი გამუდმებით იზრდება, როგორც საქართველოს სსრ მთელს მრეწველობაში, ისე მისი დარგების უმრავლესობაში. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ელექტროაღჭურვილობა ფერად მეტალურგიაში, სათბობის მრეწველობაში და შავ მეტალურგიაში. ბოლო წლებში შეიმჩნევა შრომის ელექტროაღჭურვილობის შემცირება ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში, ხე-ტყის, ხის დამამუშავებელ და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში, საშენ მასალათა და მინის და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობაში. აქედან ქიმიურ და ნავთობქიმიურ მრეწველობაში შემცირება გამოწვეული იყო ელექტროენერგიის მოხმარების აბსოლუტური დონის შემცირებით მუშათა რიცხოვნობის ზრდის პირობებში, რაც არა სასურველია. მაგრამ დადებითია ის, რომ ეს შემცირება ზღვებოდა არა ტექნოლოგიური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის, არამედ ძალური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის შემცირების ხარჯზე. საშენ მასალათა და ხე-ტყის, ხის დამამუშავე-



ბელ და ცეკლოლოზა ქაღალდის მრეწველობაში კი საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს. მინისა და ფაიფურ-ქაშანაურის მრეწველობაში ელექტროაღჭურვილობის მაჩვენებელი უარესდება, როგორც ტექნოლოგიური, ისე ძალური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის მიხედვით. ოთხივე ამ დარგში საჭიროა შრომის ელექტროაღჭურვილობის შემდგომი ზრდის მიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში შრომის ელექტროაღჭურვილობა გამუდმებით იზრდება, ზრდის ტემპები მაინც დაბალია. მაგალითად, 1960—1982 წლებში შრომის ელექტროაღჭურვილობა საქართველოს სსრ მრეწველობაში გაიზარდა მხოლოდ 1,8-ჯერ, საბჭოთა კავშირის მრეწველობაში კი 2,5-ჯერ.

საქართველოს სსრ მრეწველობაში მზარდი ტენდენცია აქვს, როგორც ტექნოლოგიური ისე ძალური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის მიხედვით გაანგარიშებული ელექტროაღჭურვილობის მაჩვენებელს. ამასთან პირველი წესით გაანგარიშებული მაჩვენებელი იზრდება უფრო სწრაფად, რაც დადებითია, მაგრამ არა საკმარისი. მომავალში კიდევ უფრო მეტი ტემპებით უნდა გაიზარდოს ტექნოლოგიური საჭიროებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის მიხედვით გაანგარიშებული შრომის ელექტროაღჭურვილობის მაჩვენებელი.

საქართველოს სსრ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები წინ უსწრებს შრომის ელექტროაღჭურვილობის ზრდის ტემპებს, ამასთანავე, არა მარტო ელექტროძალური, არამედ, ელექტროტექნოლოგიური აღჭურვილობის ზრდის ტემპებსაც. ასეთ ტენდენციას აქვს ადგილი სათბობის (1960—1970 წლების გამოკლებით), ქიმიურ და ნავთობქიმიურ, საშენ მასალათა მრეწველობის დარგებში და მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში.

შრომის ნაყოფიერების წინმსწრები ტემპებით ზრდა მის ელექტროაღჭურვილობასთან, ფანსაკუთრებით კი ელექტროტექნოლოგიურ აღჭურვილობასთან შედარებით, ელექტროფიკაციის თანამედროვე ეტაპებზე, შეიძლება ითქვას, რომ არა კანონზომიერია და ელექტროფიკაციის პროცესის შენელებაზე მეტყველებს.

წარმოების მოცულობა და ელექტროენერჯის მოხმარება ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. დღეისათვის გამომუშავებული პროდუქციის მოცულობა დამოკიდებულია არა იმდენად მომუშავეთა რიცხოვნობაზე, რამდენადაც მოხმარებულ ენერჯიაზე. განსაკუთრებით კი ელექტროენერჯიაზე. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქციის და მრეწველობის საერთო პროდუქციის ტემპებს უფრო მეტად შეესაბამება ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის ტემპები და არა მუშათა რიცხოვნობის ზრდის ტემპები. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს შესაბამისობა უფრო მკვეთრადაა გამოხატული სსრკ სახალხო მეურნეობაში და მრეწველობაში, ვიდრე საქართველოს სახალხო მეურნეობაში და მრეწველობაში, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობაში და მით უფრო, მრეწველობაში ელექტროენერჯით უზრუნველყოფის შედარებით დაბალ დონეზე მიუთითებს. ამდენად პროდუქციის გამომუშავების მოცულობის ზრდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში და კერძოდ კი, მრეწველობაში უფრო მეტადაა დამოკიდებული მუშათა რიცხოვნობაზე, ვიდრე კავშირში მთლიანად. აღნიშნული ნაკლოვანების გამოსწორება

რა თქმა უნდა მოითხოვს შრომის ელექტროალტურვილობის შემდგომ სწრაფ ზრდას საქართველოს სსრ მრეწველობაში.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში შეიმჩნევა წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად ცოცხალი შრომის აბსოლუტური სიდიდის შემცირება. ელექტროშეიარაღების ცვლილების ასეთი ტენდენცია რა თქმა უნდა მოითხოვს წარმოების ავტომატიზაციის ძლიერ მაღალ დონეს. მრეწველობაში შრომის ელექტროალტურვილობის ზრდის არანებისმიერი გზაა მართებული, არამედ ისეთი, რომელიც ემყარება წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელებას და მიმართულია ცოცხალი შრომის დანახარჯების მაქსიმალურად შემცირებისაკენ.

საქართველოს სსრ მრეწველობის პროდუქციის ელექტროტევადობის კლების ტენდენცია ახასიათებს, რაც თანამედროვე პირობებში შეიძლება აიხსნას არა როგორც, ელექტროდამზოვი პოლიტიკის განხორციელების შედეგი, არამედ საწარმოო პროცესების სრული ელექტროფიკაციისაკენ მიმართული ღონისძიების შესრულების შედეგი. მომავალში საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკაში პროდუქციის ელექტროტევადობა უნდა გაიზარდოს, მაგრამ ელექტროტევადობის არა ყოველგვარი ზრდა წარმოადგენს დადებით პროცესს, ელექტროტევადობის ზრდა უნდა განხორციელდეს ელექტროდამზოვი პოლიტიკის მკაცრად დაცვის პირობებში.

ელექტროტევადობის სიდიდეზე მრეწველობაში მოქმედებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორი — ელექტროტევადი პროცესების ხვედრითი წილის ამაღლება და საწარმოო პროცესებში ელექტროენერგიის ეკონომიკური გამოყენება. პირველი ზრდის მის სიდიდეს, ხოლო მეორე ამცირებს. განვითარების თანამედროვე ეტაპზე კი, პირველი ფაქტორის გავლენა უფრო დიდია, რაც პროდუქციის ელექტროტევადობის გაზრდას იწვევს.

საქართველოს სსრ მრეწველობაში პროდუქციის ელექტროტევადობის ზრდა განპირობებულია შემდეგი გარემოებების გამო: დაბალია საქართველოს სსრ მრეწველობის ბევრ დარგში ელექტროენერგიის დანერგვის დონე ტექნოლოგიურ პროცესებში. ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერგიის დანერგვა ჯერჯერობით კავშირის მასშტაბითაც დაწყებით სტადიაშია, მაგრამ რესპუბლიკა ჩამორჩება იმ დონესაც, რაც კავშირშია მიღწეული. განსაკუთრებით ეს ეხება ელექტროენერგიის დანერგვას ელექტროფიზიკურ და ელექტროქიმიურ პროცესებში. საბჭოთა კავშირის მრეწველობაში ელექტროფიკაციის დონისაგან ჩამორჩენაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ პროდუქციის ელექტროტევადობა და სამრეწველო მუშაკის ელექტროალტურვილობა საქართველოს სსრ მრეწველობაში გაცილებით ნაკლებია (1982 წელს ელექტროტევადობის მაჩვენებელმა საქართველოს სსრ მრეწველობაში საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 63,7% შეადგინა); საქართველოს სსრ მრეწველობაში დიდია ხელით შრომის ხვედრითი წილი. განსაკუთრებით დიდია ხელით შრომის ხვედრითი წილი დამხმარე წარმოებაში. ძირითად წარმოებაში ხელით შრომის დიდი ხვედრითი წილით გამოირჩევა ქვანახშირის, კვების, მინის და ქაშანურის, ქიმიური და ნავთობქიმიური, ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობა, ელექტროენერგეტიკა და მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. დამხმარე წარმოებაში, მრეწველობის ყველა დარგში გარდა ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობისა, დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი ხელით შრომობს. ხელით შრომის შეცვლას გარდა ეკონომიკური შედეგისა, დიდი სოციალური მნიშვნელობაც აქვს. ხელის

შრომის შეცვლა, კი უნდა განხორციელდეს ამ პროცესების ელექტროფიკაციის საფუძველზე, როგორც ძირითად, ისე დამხმარე წარმოებაში, რაც ელექტროენერჯის მნიშვნელოვან რაოდენობას მოითხოვს; სამრეწველო წარმოების სრულ ელექტროფიკაციაზე გადასვლა მოითხოვს სხვა სახის ენერჯის თითქმის მთლიანად ელექტროენერჯით შეცვლას. საწარმოთა ენერგობალანსში კი, ჯერჯერობით უდიდესი ხვედრითი წილი სათბობს უჭირავს; წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განვითარებასთან ერთად იზრდება ელექტროენერჯის მოხმარება მართვის პროცესებში, რაც ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობის ელექტროენერჯის მოითხოვს; შრომის პირობებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ხშირად საჭიროა, პროდუქციის ერთეულზე ელექტროენერჯის ხვედრითი გასაივლის გადიდება; მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურის თავისებურებებით (მასში მძიმე ინდუსტრიის დარგების ხვედრითი წილის ამაღლება).

საქართველოს სსრ მრეწველობაში ბევრია ისეთი პროცესები, სადაც შესაძლებელია ელექტროენერჯის დანერგვა ტექნოლოგიური საჭიროებისათვის. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში უნდა განხორციელდეს წარმოების თანდათანობითი გადასვლა ელექტროფორალდის მიღებაზე. თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“ თუჯის ჩამოსხმა ვაგრანკების ნაცვლად უნდა განხორციელდეს ინდუსტრიულ ელექტროლუმებში. მანქანათმშენებლობის ბევრ საწარმოებში (ქუთაისის ავტოპარხნის საწარმოო გაერთიანებებში, თბილისის საწარმოო გაერთიანებებში, „ელმაველმშენებელში“ და „ჩარხმშენებელში“ და სხვ.) სამსხმელო და სამქედლო წარმოებებში შესაძლებელია სათბობზე მომუშავე ღუმელების შეცვლა ელექტროსამსხმელო და ელექტროგამხურებელი ღუმელებით. სარეკონსტრუქციო, ახალმშენებარე და მომავალში ასაშენებელ მანქანათმშენებლობის ობიექტებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროფიზიკური პროცესების დანერგვას. ქიმიური და ნავთობქიმიური, ასევე ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ელექტროქიმიური პროცესების რაც შეიძლება ფართოდ გამოყენება. ტექნოლოგიურ პროცესებში ელექტროენერჯია შესაძლებელია წარმატებით დაინერგოს ასევე საფეიქრო და ქაღალდის მრეწველობაში, მსუბუქი და კვების მრეწველობის ზოგიერთ დარგებში. ასევე უნდა განვითარდეს პურის ელექტროცხობა.

საქართველოს სსრ მთავარიანი რესპუბლიკაა, ამიტომ სათბობის ტრანსპორტი ძვირი ჯდება, ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელიც კია, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში. ამდენად ისეთ პირობებში (როგორც ტექნოლოგიურ ისე ძალურში), რომელთა უზრუნველყოფა სხვა სახის ენერჯით ფერხდება, საჭიროა დაინერგოს ელექტროენერჯია, თუნდაც იგი ეკონომიკურად გაუმართლებელიც კი იყოს. ასევე, რადგანაც საქართველო მიეკუთვნება სათბობი რესურსებით ღარიბ რესპუბლიკას, ამდენად საწარმოო პროცესების გადაყვანა ელექტროენერჯიაზე სხვა, ორგანული სათბობით მდიდარ რაიონებთან შედარებით, უნდა დაჩქარდეს.

ხელის შრომის ელექტროფიკაცია უპირველეს ყოვლისა უნდა განხორციელდეს იქ სადაც შრომის მძიმე პირობები არსებობს. ასეთ დარგებს საქართველოს სსრ მრეწველობაში მიეკუთვნება ქვანახშირის და მარგანეცის მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა და მანქანათმშენებლობის მთელი რიგი საწარმოები.

თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჰაერის კონდენცირებას. პირველი რიგის ობიექტებს, სადაც უნდა განხორციელდეს ჰაერის კონდენცირება განეკუთვნება ქვანახშირისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულთა მოპოვების შანტები, რომლებიც მაღალი ტენიანობით და მტერიანობით ხასიათდებიან.

შემდეგი პროცესი ელექტროენერგიის დანერგვისა საქართველოს სსრ მრეწველობაში დაკავშირებულია ელექტროენერგიის დანერგვასთან საშუალო და დაბალტემპერატურულ პროცესებში და აქამდე არსებული ყველა მექანიზებული ძრავის შეცვლასთან ელექტროძრავით, მათ შორის მობილური პროცესების ელექტროფიკაციასთან. ყოველივე ეს შექმნის წარმოებისა და მართვის პროცესების სრული ელექტროფიკაციის პირობებს, რომლის დროსაც წარმოების ტექნოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს კვანტურ-პლასმური პროცესები.

ყოველივე ამისათვის კი, აუცილებელია არა მხოლოდ საჭირო რაოდენობის და რაც შეიძლება იაფი ელექტროენერგია, არამედ მანქანათმშენებლობაში უნდა უზრუნველყოს მოწყობილობის ახალ სახეობათა შემუშავება, დანერგვა და გამოშვება. რაც უფრო ჩქარა იქნება განხორციელებული ეს მოთხოვნები, მით უფრო დაჩქარდება საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციის გადრმავება, მით უფრო დიდი იქნება ელექტროენერგიის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა.

ამჟამად კი, შეიძლება ითქვას, ასეთი პირობები შექმნილი არ არის. უპირველეს ყოვლისა ეს ენება ელექტროენერგეტიკის განვითარების დონეს. შესაბამისი ანალოზი გვიჩვენებს რომ საქართველოს სსრ ელექტროენერგეტიკის განვითარების დონე არასაკმარისია. სამრეწველო საწარმოთა ტექნიკური დონის შესწავლა კი გვიჩვენებს, რომ ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარებისათვის საჭირო ბევრი მოწყობილობა ჯერ მხოლოდ გამოდგომებლობის სტადიაშია, ან მანქანათმშენებლობის საწარმოები მათ საჭირო რაოდენობით არ უშვებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ცალკეული საწარმოები სერიოზულ მონდომებას არ იჩენენ ახალი ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების ათვისებისადმი.

ელექტროტევადობის მაჩვენებლის შემცირების უმთავრესი გზა არის ელექტროენერგიის ეფექტიანი (რაციონალური) გამოყენების ამაღლება.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირში შემუშავებული ენერგეტიკული კომპლექსების განვითარების ხანგრძლივი პერიოდის პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოპოვებისა და წარმოების შემდგომ გადიდებას, არამედ მათ სულ უფრო, ინტენსიურ, ე. ი. რაციონალურ და ეკონომიკურ გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ელექტროენერგიის ეფექტიან გამოყენებას. ელექტროენერგიის ეფექტიანი გამოყენების რამოდენიმე გზა არსებობს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: პროდუქციის დამზადების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა, პროდუქციის მასალატევადობის (განსაკუთრებით ლითონტევადობის) შემცირება, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობის შეცვლა, დანაკარგების შემცირება ელექტროქსელში და ორგანიზაციული ღონისძიებები.

მაგრამ, როდესაც ელექტროენერგიის გამოყენების ეფექტიანობაზე (რა-



ციონალურობაზე) ვლადიმერ აკობი გასათვალისწინებელია, რომ იგი ბევრად და მოკიდებული ელექტროენერჯის ღირებულებაზე, რაც უფრო იაფია ელექტროენერჯია მით უფრო დიდა მისი ეფექტიანი, რაციონალური გამოყენების შესაძლებლობა. ე. ი. ელექტროენერჯის მისაღებად საჭირო დანახარჯების შემცირება, მისი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. ეს საკითხი მჭიდრო კავშირშია აგრეთვე პროდუქციის ელექტროტევადობასთან. შედარებით იაფი ელექტროენერჯია შესაძლებელია უფრო გაბედულად დაინერგოს იმ პროცესებში, სადაც სხვა სახის ენერჯის გამოყენება ჯერ კიდევ ეკონომიურად უფრო გამართლებულია. ეს კი რა თქმა უნდა გააძლიერებს ელექტროტევადობის მაჩვენებლის სიდიდეს. ელექტროენერჯის ეფექტიან, რაციონალურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე აგრეთვე ელექტროენერჯის დანერგვის დროს ახალ ტექნოლოგიურ პროცესებში, რადგანაც სხვა სახის ელექტროენერჯისაგან შედარებით ამ პროცესებში იგი უფრო ეკონომიურია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხდება პროდუქციის ელექტროტევადობის არა შემცირება, არამედ გადიდება. ანალოგიური შემთხვევა გვექნება ხელით შრომის ელექტროფიკაციის დროსაც. აქაც ელექტროენერჯია გამოყენებული იქნება ახალი ტექნიკის მოქმედებაში მოსაყვანად, რაც ამაღლებს წარმოების ეფექტიანობას და მაშასადამე ელექტროენერჯის გამოყენების ეფექტიანობასაც, მაგრამ გაზრდის პროდუქციის ელექტროტევადობას. ამდენად, ელექტროტევადობის შემცირებაზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის დროს ჩვენ გვინტერესებს ისეთი ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეები, რომელშიც ელექტროენერჯია უკვე გამოიყენება.

ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ეფექტი მიიღწევა მისი ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებით. ამ პროცესებში ელექტროენერჯია დასამუშავებელ საგანზე მოქმედებს არა სხვა იარაღის მეშვეობით, არამედ უშუალოდ, რაც ამცირებს ელექტროენერჯის დანაკარგებს, რადგანაც საჭირო აღარ ხდება ენერჯის ერთი სახის გადასვლა მეორეში და მაშასადამე, გადაცემათა მთელი ჯაჭვი. ასეთება მაგალითად, ნაპერწყლური, ელექტროქიმიური, ელექტროსინთეზური, ულტრაბერძიური და მუშავება, ელექტროსტატიკური გაწმენდა და შეღებვა, ელექტრონულ-იონური ტექნოლოგია და სხვ. ასეთი ობერაციები უკვე მნიშვნელოვანი სიდიდით გამოიყენება საბჭოთა კავშირში. საქართველოს სსრ-ის პუბლიკაში კი ასეთი ტექნოლოგიები უმნიშვნელოდ გამოიყენება. მომავალში სწორედ აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენება უნდა გახდეს ელექტროენერჯის დაზოგვი პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

ახალ ტექნოლოგიურ პროცესებს შეიძლება მივაკუთვნოთ კორპუსის დეტალების დაბერების პროცესი (ვიბრაციული დაბერება), დეტალების ავოტირების პროცესების სრულყოფა, დეტალების დამზადება ლითონური ფხვნილებიდან, ნაშაადების წარმოება ელექტროფილური ჩამოსხმის მეთოდით და მრავალი სხვა ტექნოლოგიური და ტექნიკური ცვლილებები, რომლებიც იწვევენ ელექტროენერჯის ეკონომიას.

მაგალითად, მანქანათმშენებელ საწარმოებში დეტალების თერმული დამუშავების ინდუქციური წესის გამოყენება, ნაცვლად წინააღმდეგობის ღუმელებში მათი დამუშავებისა, შესაძლებლობას იძლევა 2-ჯერ შევამციროთ ელექტროენერჯის ხარჯი 500-10000 ჰკ სიხშირის, ხოლო 3-ჯერ 10000 ჰკ-ზე მეტი სიხშირის შემთხვევაში.

ჩქაროსნული ღარვისა და ხეხვის დანერგვა ამცირებს ელექტროენერჯის ხვედრ გასავალს 25-30%-ით, გადმოტირთვა და ელექტროგადმოტირთვა ლითონმჭრელ ჩარხებზე მექანიკური დამუშავების ნაცვლად იძლევიან ელექტროენერჯის 50% ეკონომიას. ჭრის სიჩქარის გადიდება ჩარხებზე 50 მ/წმ-დან 200 მ/წმ-მდე ამცირებს ელექტროენერჯის ხარჯს 17%-ით. ჩქაროსნული ჩამოსხმის გამოყენება ორგანიზაციულ ღონისძიებებთან შერწყმით იძლევა ელექტროენერჯის 20-30% ეკონომიას და სხვ.

რუსთავის საწარმო გავრთიანება „აზოტში“ ამონიუმის გვარჯილას წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფის შედეგად 1 ტონა პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო ელექტროენერჯის ოდენობა 40-დან 37 კვტ-სთ-მდე შემცირდა, ხოლო აზოტმეყვას წარმოებისათვის 280-დან 50 კვტ-სთ-მდე. რუსთავის საწარმოო გავრთიანება „ქიმიურ ბოქსოში“ პროდუქციის წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების შედეგად 1 ტ. პროდუქტიაზე ელექტროენერჯის ხვედრი დანახარჯი შემცირდა: კაპრონის ძაფის წარმოებაზე — 5711-დან 2039,7 კვტ-სთ-მდე, კაპრონის ბოქსოს წარმოებაზე — 3500,6-დან 2568,1 კვტ-სთ-მდე, პოლიპროპილენის წარმოებაზე — 4555-დან 2977 კვტ-სთ-მდე, კაპრონის ქსოვილების წარმოებაზე — 740-დან 666,6 კვტ-სთ-მდე, კაპრონის ფისის წარმოებაზე 2143-დან 1918-კვტ-მდე. იმავე გავრთიანებაში სართავ ჩარხებზე მანქანური გარდამქმნელების შეცვლა ტირისტორულით ელექტროენერჯის ხარჯს შეამცირებს 302 ათასი კვტ-სთ-ით, ხოლო მარეგულირებელი დროსელური მოწყობილობების შეცვლა ტირისტორულით — 20 ათას კვტ-სთ-ით. თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“ ახალი ავტომატური რეგულირების საკომპარესოროს მწყობარში შეყვანა ერთი წლის განმავლობაში დაზოგავს 60 ათას კვტ-სთ ელექტროენერჯის, ხოლო ელექტრო-რკალური ღუმელების გადაყვანა ტერისტორულ ღართაზე — 80 ათას კვტ-სთ-ს. საწარმოო გავრთიანება „ელმაველმშენებელში“ პროგრესული მოწყობილობის დანერგვის და ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მოწყობილობის შეცვლის შედეგად 1983 წელს მიღებული იქნა 60 ათასი კვტ-სთ ელექტროენერჯის ეკონომია, ლითონების მექანიკური დამუშავებისათვის პროგრამული მართვის ჩარხების დანერგვის შედეგად — 70 ათასი კვტ-სთ, ხოლო ხუთკამერიან ელექტროღუმელში ელექტროსახურებლის უფრო ეკონომიური სახურებლით შეცვლის შედეგად — 13 ათასი კვტ-სთ. რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტში“ გახურებული ლითონის შესანახად მიქსერული დანადგარების დანერგვა 5%-ით შეამცირებს ელექტროენერჯის ხარჯს, ღუმელების მოცდენების შემცირების ხარჯზე. ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ეკონომია მიიღწევა იმავე საწარმოში ფორმების დასამზადებლად ახალი ნარევის გამოყენებით, რის შედეგადაც მიღებული სხმული არ მოითხოვს დანახარჯებს დამატებით გაშრობაზე.

პროდუქციის მასალატევალობის შემცირება, უპირველეს ყოვლისა, ლითონტევალობის შემცირება პირდაპირ კავშირშია ელექტროენერჯის ეკონომიასთან, რადგან მასალატევალობის შემცირება ნიშნავს დამუშავების და გადაზიდვის მოცულობის შემცირების და, რაც მთავარია, მომსახურე ელექტრული მოწყობილობების გამართივებასაც. მასალატევალობის შემცირება უშუალოდ უკავშირდება შრომის საგნების ხარისხის გაუმჯობესებას და ნაშენადის რეკონსტრუქციის გაიოლებას. განვითარების თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს შრომის საგნები წინასწარ მოცემული ფიზიკური თვისე-



ბებით. ნამზადის რეკონსტრუქციის გამარტივება თავისთავად მოითხოვს მომსახურე ენერგეტიკული მოწყობილობების რეკონსტრუქციის გამარტივებასაც. პროდუქციის ლითონტევადობის შემცირების კარგი შესაძლებლობებია საწარმოო გაერთიანებებში „ჩარხნშენებელში“, „ელექტროვაგონშენებელში“ და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესს არა აქვს შეაკრად ორგანიზებული ხასიათი. ხშირ შემთხვევაში საგემო დავალებათა შესრულების მიზნით საწარმოებში შეგნებულად არ ტარდება ასეთი ღონისძიებანი, რადგანაც იგი გამოიწვევდა პროდუქციის ღირებულების შემცირებას და მასშალამე გემის შეუსრულებლობასაც.

ელექტროენერჯის ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მოწყობილობის ასაკობრივი შემადგენლობა, მოძველებული მოწყობილობებით მუშაობის პირობებში ეცემა შრომის ნაყოფიერება, რაც ზრდის ელექტროენერჯის მოხმარების სიდიდეს. შესაბამისი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საქართველოს სსრ მრეწველობაში დიდია მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მოწყობილობების რაოდენობა. ამასვე გვიჩვენებს მრეწველობის ძირითადი წარმოებრივი ფონდების განახლების პროცესი, სადაც გასავლის კოეფიციენტის მცირე მნიშვნელობა მეტყველებს იმაზე, რომ ძირითადი წარმოებრივი ფონდების ზრდა უმთავრესად წარმოებს ძველისადმი ახლის დამატებით და არა ძველი მოწყობილობების ახლით შეცვლის გზით.

ელექტროენერჯის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციული ღონისძიებებიდან უნდა გამოიყოს თვით წარმოების ორგანიზაციის და ელექტრომომარაგების რაციონალური ორგანიზაციის ღონისძიებები. საუკეთესო საწარმოებშია ც კი, სპეციალური გამოკვლევების შედეგად აღმოჩენილ იქნა ენერჯის (მათ შორის ელექტროენერჯის) ეკონომიის მნიშვნელოვანი რეზერვები, რომელთა რეალიზებაც შესაძლებელია მინიმალური დანახარჯებით. საერთოდ ყველაზე მოწინავე საწარმოებსაც კი აქვთ შესაძლებლობა წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ხარჯზე, მინიმალური დანახარჯებით შეამცირონ ელექტროენერჯის ხვედრი მოხმარება 5-10%-ით.

ელექტრომომარაგების რაციონალური ორგანიზაცია მიიღწევა მრავალრიცხოვან ღონისძიებათა გატარების შედეგად. მათგან შეიძლება აღინიშნოს: რაციონალური ძაბვის და ტრანსფორმაციის რაციონალური რიცხოვნობის შერჩევა და გამოყენება, გამანაწილებელი და დამაბალბელებელი ქვესადგურების განლაგების ადგილი და გამტარების საჭირო განიკეთების შერჩევა, მკვებავი პუნქტების მიახლოება მოხმარების ცენტრებთან, დანაკარგების შემცირება ელექტროქსელში და ტრანსფორმატორებში, ძველი ტრანსფორმატორების ახლით შეცვლა, ტრანსფორმატორების მუშაობის ეკონომიკური რეჟიმის შემუშავება, ძალური ტრანსფორმატორების მოდერნიზაცია, რეაქტიული დატვირთვის დაცვა ოპტიმალურ საზღვრებში, საწარმოების ელექტროქსელის გადაყვანა 200 ვოლტიდან 380 ვოლტ ძაბვაზე. გამანათებელ ქსელებში ძაბვის სტაბილიზაცია, სინქრონული ძრავების ასინქრონული ძრავებით შეცვლა, უქმი სვლის შემზღუდველების დანერგვა, ვარვარების ნათურის შეცვლა ლუმინესცენციური და ვერცხლისწყლიანი ნათურებით, ნათურების ერთეული სიმძლავრის გადიდება, განათების ჩართვის და გამორთვის ავტომატიზაცია, ბუნებრივი განათების გამოყენების გაუმჯობესება, ენერჯის მომხმარებელი დანადგარების ავტომატიზაცია (მაგალითად ელექტროღუმელების შემღუმელებელი

აპარატების და ელექტროლიტური აბაზანების პროგრამული მართვა) და სხვ.

შესაძლებელია დავასახელოთ მრავალი მაგალითი ელექტრომომარაგების რაციონალური ორგანიზაციის შედეგად მიღებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი რაოდენობით ეკონომიისა. მაგალითად, დაუტვირთავი ელექტროძრავების, შესაბამისი სიმძლავრის ელექტროძრავებით შეცვლის შედეგად მიღებული ელექტროენერგიის წლიური ეკონომია ტოლია: ტრესტ „ჭიათურმარგანეციში“ 169 ათას კვტ-სთ-ის, საწარმოო გაერთიანება „ქიმიურ ბოჭკოში“ — 43 ათასი კვტ-სთ-ის, საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ — 155 ათასი კვტ-სთ-ის. მოწყობილობების უქმი სვლის შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა: ტრესტ „ჭიათურმარგანეციში“ 178 ათასი კვტ-სთ, რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტში“ — 20,7 ათასი კვტ-სთ, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“ — 150 ათასი კვტ-სთ. თბილისის ქარხანა „ცენტროლიტში“ ფოლადსამსხმელო ელექტროლუმების ქსელში სტატისტიკური კონდენსატორების დადგმის შედეგად შესაძლებელია 80 ათასი კვტ-სთ ოდენობის ელექტროენერგიის წლიური ეკონომია, იმავე საწარმოში ქარხნის ტერიტორიის გარე განათების დაკავშირება ჩართვა-გამორთვის ერთიან პულტთან მოგვეცემს 10 ათასი კვტ-სთ ოდენობის ელექტროენერგიის ეკონომიას. საწარმოო გაერთიანება „ელმავალშენებელში“ რეაქტიული სიმძლავრის კომპენსატორების დანერგვით წელიწადში დაიზოგება 80 ათასი კვტ-სთ ელექტროენერგია, იმავე საწარმოებში კორექტორების საშრობ ლუმელში ავტომატიკის დაყენება ელექტროენერგიის ხარჯს შეამცირებს 12 ათასი კვტ-სთ-ით წელიწადში. ტრესტ „ჭიათურმარგანეციში“ დაბალი და მაღალი ძაბვის ქსელების სქემის სრულყოფა მოგვეცემს 312 ათასი კვტ-სთ, ხოლო განათების ქსელის ძაბვის რეგულირება უქმე დღეებში — 10 ათასი კვტ-სთ ელექტროენერგიის ეკონომიას წელიწადში. საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“ სიმძლავრის კოეფიციენტის ამაღლება, კოსინუსური კონდენსატორების დამატებით დაყენების შედეგად, მოგვეცემს 40 ათას კვტ-სთ, ძალური ტრანსფორმატორების ნაწილის განრთვა მცირე დატვირთვის დროს — 20 ათას კვტ-სთ, ვარვარების ნათურების შეცვლა დღის სინათლით — 30 ათას კვტ-სთ, ელექტრო ლუმელების თბოიზოლაციის გაუმჯობესება, მისი ზედაბირის ალუმინის საღებავით შეღების საფუძველზე — 60 ათას კვტ-სთ, ხოლო ელექტროძრავების უქმი სვლის მინიმუმამდე შემცირება, ელექტროძრავების ავტომატური გამომრთველების დანერგვის გზით 100 ათას კვტ-სთ ელექტროენერგიის ეკონომიას. დაუტვირთავი ძალური ტრანსფორმატორების ამორთვა, ელექტრომედულეების აპარატთა უქმი სვლის შემცირება, წინაღობის ლუმელების შეცვლა ინდუქციური ლუმელებით, გამანათებელ ქსელში ძაბვის სტაბილიზაცია, ძაბვის ტირისტორული შემზღუდველობის TOH — 3 დაყენება, არასრული დატვირთვით მომუშავე ელექტროძრავების შეცვლა შესაბამისი სიმძლავრის ძრავებით, ვარვარების ნათურის შეცვლა ლუმინესცენციური და ვერცხლისწყლიანი ნათურებით, ნათურების ერთეული სიმძლავრის გადიდება, გამანათებელი მოწყობილობების რაციონალური ექსპლუატაცია (განათების, კედლების, ჭერის, ფანჯრების თანადროული დაწმენდა ჰუჭყისაგან, ნათურების თანადროული გამორთვა, გარე განათების ავტომატიზაცია და სხვ.), მოძველებული ტრანსფორმატორების შეცვლა ახლით, პნევმოინსტრუმენტების შეცვლა ელექტროინსტრუმენტებით, ნაგებობათა კარების, ფანჯრების ნაჩგრეტებისა და სხვ. დაგმანვა, ქუ-



თაისის ავტოქარხნის საწარმოო გაერთიანებაში წელიწადში დაახლოებით 1,5 მილიონამდე კეტ-სთ ელექტროენერჯის ეკონომიის მოგვეცეს.

საქართველოს სსრ მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში მდგომარეობის გაეცნობამ დაგვანახა, რომ ელექტროენერჯის ხარჯვის აღრიცხვიანობა და კონტროლი არასაკმაო დონეზეა. თითქმის არც ერთ საწარმოში არ გამოიყენება ტელესიგნალიზაციისა და ტელემართვის საშუალებანი. ამასთანავე აღსანიშნავია ის, რომ ელექტროენერჯის ხარჯვაზე აღრიცხვისა და კონტროლის განხორციელების ტექნიკური საშუალებანი საკმაო რაოდენობით არ იწარმოება და საწარმოებს არა აქვთ საშუალება წესრიგში მოიყვანონ სამეურნეო საქმიანობის ეს მნიშვნელოვანი უბანი.

უდიდეს გავლენას ახდენს ელექტროენერჯის რაციონალურად გამოყენებაზე თვით წარმოების ორგანიზაციის დონე. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს იმ დიდ როლზე, რომელსაც ასრულებს საერთოდ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციის ისეთი ფორმები, როგორც კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, კომბინირება და კოოპერირება. საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამ ფორმებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა კონცენტრაციას ენიჭება. სწორედ ინტენსიური კონცენტრაციის პირობებში ხდება შესაძლებელი ყველა იმ ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რომლებიც ელექტროენერჯის დიდ ეკონომიას იძლევიან. წარმოების კონცენტრაციის ერთ-ერთი დადებითი მხარე ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების მიმართებით არის კიდევ ის, რომ მცირდება ელექტროენერჯის დანაკარგები ელექტროქსელში, მისი დაქსაქსულობის შემცირების და მაღალი ძაბვის დენის გამოყენების შესაძლებლობის გამო. წარმოების სპეციალიზაციის, კომბინირების და კოოპერირების განვითარება იძლევა საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ამაღლების საშუალებას, რაც თავის მხრივ ზრდის ელექტროენერჯის რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობას.

ელექტროენერჯის რაციონალური გამოყენების ამაღლების დიდ შესაძლებლობებს იძლევა აგრეთვე უშუალოდ საწარმოებში წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა. განასხვავებენ წარმოების ორგანიზაციის სამ ტიპს — მასიურს, სერიულს და ერთეულს. მასიური და სერიული წარმოება საშუალებას იძლევა გამოიყენონ ორგანიზაციის ყველაზე უფრო სრული, ღრმა — ნაკადური წარმოება და მისი უმაღლესი სახესხვაობა — ავტომატური ხაზები და საამქროები. წარმოების ავტომატიზაციის დროს მართალია იზრდება დროის ერთეულში დანარჩეული ელექტროენერჯის რაოდენობა, მაგრამ გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება იმავე დროში გამოიმუშავებული პროდუქციის რაოდენობა, რის გამოც მისი ელექტროტევადობა საბოლოო ანგარიშით მცირდება.

საქართველოს სსრ მრეწველობაში 1982 წლის 1 ივლისის მონაცემებით რესპუბლიკის მრეწველობაში იყო 2910 მექანიზებული ნაკადური ხაზი, 275 ავტომატური ხაზი, 1465 კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზირებული ქუბანი, საამქრო და წარმოება: თუ აღნიშნულ მონაცემებს შევადარებთ საშუალო სააკვშირო მონაცემებს, მრეწველობის საერთო პროდუქციის ერთი და იგივე რაოდენობაზე მექანიზებული ნაკადური ხაზი, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზირებული უბანი საამქრო, წარმოება და საამქრო საქართველოს სსრ მრეწველობაში მცირედით, მაგრამ მაინც მეტი მოდის ვიდრე სსრკ მრეწველობაში მთლიანად. ავტომატიზირებული

5. „მაინე“, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, № 4.

ხაზის ხვედრიწილი კი, საქართველოს სსრ მრეწველობაში, პროდუქციის ერთეულზე, სსრკ მრეწველობის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 66,5% შეადგენს. მასასადამე წარმოების პროცესების ავტომატიზაციის დონე საქართველოს სსრ მრეწველობაში დაბალია და მომავალში მისი ამაღლება მნიშვნელოვნად გაზრდის ელექტროენერჯის ეფექტიანი გამოყენების დონეს.

ელექტროენერჯის ეკონომიას იძლევა აგრეთვე სხვა სახის ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებების გატარებაც. მაგალითად, საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“ 1984 წელს იმის შედეგად, რომ არ დაუშვებენ დაბლაკვებული ან არასწორად აღესილი საჭრისის ხმარებას, დაზოგლი იქნება 50 ათასი კვტ-სთ ელექტროენერჯია, არასამუშაო დროის შეკუმშული ჰაერის განრთვის შედეგად — 845 ათასი, ხოლო ელექტროლუმენების დატვირთვის გადიდების შედეგად, მათში დეტალების რაციონალური ჩაწყობის გზით — 20 ათასი კვტ-სთ ელექტროენერჯია, რუსთავის ქარხანა ცენტროლიტში ინდუქციური ლუმენების ჩართვის პროგრესული მეთოდების დანერგვის შედეგად წელიწადში ელექტროენერჯის დანაზოგი 411 ათასი კვტ-სთ შეადგენს, საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ მბრუნავი წყლის მიწოდების სქემის შეცვლის შედეგად მიღებულია 40 ათასი კვტ-სთ ელექტროენერჯის წლიური ეკონომია, საშრობი და თერმული ელექტროლუმენების ჩართვისა და მაქსიმალური დატვირთვის გრაფიკის შედგენისა და დაცვის შედეგად საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელში“ 1983 წელს მიღებული იქნა 17 ათასი კვტ-სთ ელექტროენერჯის ეკონომია და სხვ.

როგორც ვნახეთ ელექტროდამზოგი პოლიტიკის გატარების შედეგად ელექტროენერჯის მნიშვნელოვანი ოდენობის ეკონომიის მიღწევა შეიძლება, მაგრამ საწარმოებში ამ მიმართულებით არადაამაკმაყოფილებელი მუშაობა წარმოებს. მართალია თითოეულ სამრეწველო საწარმოში დგება ელექტროენერჯის ეკონომიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა, მაგრამ ხშირად იგი არ ემყარება საწარმოებში არსებულ რეალურ მდგომარეობას. ამდენად ხდება ზერტლე დაუსაბუთებელი გეგმის შედგენა, რომელიც არც თუ იშვიათად წლების განმავლობაში ერთი და იგივე რჩება.

Р. Б. АБЕСАДЗЕ

ЭЛЕКТРОВООРУЖЕННОСТЬ ТРУДА И ЭЛЕКТРОЕМКОСТЬ ПРОДУКЦИИ В ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИНСКОЙ ССР

Резюме

В работе рассматриваются теоретические и практические вопросы электровооруженности труда и электроемкости промышленной продукции. Показана ведущая роль роста электротехнологической вооруженности труда в росте его производительности. Даны пути рационального использования электроэнергии в производственных процессах в промышленности Грузинской ССР.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ავროსამრეწველო კომპლექსების ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებაში.

К. А. ИОСЕЛИАНИ

СОВЕРШЕНСТВОВАНИЕ ПЛАНИРОВАНИЯ ПРОИЗВОДСТВА ТОВАРОВ НАРОДНОГО ПОТРЕБЛЕНИЯ

Перестройка планирования производства товаров народного потребления в свете современных требований партии и правительства призвана обеспечить:

— составление планов производства товаров под решающим воздействием интересов торговли и потребителя;

усиление нацеленности плановых решений на всех уровнях и этапах планирования на максимально возможное при данных условиях удовлетворение заявок и заказов торговли с учетом требования рационального использования всех видов производственных ресурсов;

— большую свободу маневра при организации производства и поставки товаров объединениям (предприятиям)-изготовителям, с одной стороны, и возможность для оптовых покупателей более широкого выбора изделий из ассортимента, предлагаемого для продажи на оптовых ярмарках, — с другой.

Достижение этих целей предполагает изменение структуры планирования при одновременном значительном усилении роли заявок и заказов торговых организаций и лучшей увязке объемов выпуска и показателей развития ассортимента в пятилетних и годовых планах на высшем уровне и в основном звене производства, а заданий по выпуску товаров — с их ресурсным обеспечением и структурой спроса различных групп населения. Вместе с тем должны быть внесены некоторые изменения в договорную практику.

Основу решения проблемы может составить переход к программно-целевому методу планирования производства и реализации товаров народного потребления на основе целевых комплексных программ развития ассортимента (в дальнейшем используется сокращение ЦПРА).

Целевые программы развития ассортимента должны разрабатываться по отдельным видам товаров — позициям группового ассортимента в территориальном разрезе с выделением в них изделий приоритетного или «престижного» спроса среди различных групп населения. Например, молодежный ассортимент, рекреационные товары, ассортимент для лиц пожилого возраста и пенсионеров, особо модные товары и т. д. ЦПРА должны содержать полный комплекс специальных мероприятий по увеличению производства, расширению и обновлению номенклатуры, оптимизации потребительских и эстетических параметров изделий на определенном отрезке времени в будущем. Назначение ЦПРА — служить документированным выражением и вместе с тем инструментом проведения в жизнь согласованной между торговлей и промышленностью политики. Совокупность ЦПРА будет составлять нормативную основу ассортиментного разреза плана производства товаров народного потребления.

В соответствии с этим в ЦПРА выделяются следующие основные разделы.

1. Целевой раздел. Основное содержание — анализ базового ассортимента вырабатываемых товаров, разработка предложений по его расширению и обновлению, улучшению качества изделий с учетом запросов потребителей. Он включает:

а) анализ производства и реализации, включая розничную продажу по каждой позиции ассортимента;

б) сводный анализ объемов производства, номенклатуры и качества изделий базового ассортимента, анализ качества вырабатываемой продукции в сравнении с лучшими отечественными и мировыми образцами, а также с точки зрения соответствия запросам потребителей характеристик вырабатываемых товаров. Определение на этой основе перечня конкретных задач по улучшению ассортимента и качества продукции по годам пятилетки;

в) анализ динамики удовлетворения заявок и заказов торговли и определение расчетной потребности в соответствующих товарах по годам пятилетки. Производится на основании прогнозов спроса, потенциальной и реальной емкости рынка, материалов оперативного изучения мнений потребителей об ассортименте и качестве товаров.

Целевой раздел завершается перечнем базовых (исходных) показателей, задач и направлений развития ассортимента, вытекающих из результатов анализа.

II. Отраслевые разделы (промышленность и торговля). Основным содержанием этих разделов является технико-экономические обоснования предложений, позволяющих достичь по соответствующим производствам (отраслям, подотраслям, предприятиям, объединениям), а также по торговым системам целей и задач программы, сформулированных в разделе I.

Эти предложения должны охватывать:

а) мероприятия по сохранению и развитию производства товаров базового ассортимента, пользующихся спросом населения, и более полному приближению их потребительских и эстетических параметров к запросам потребителей;

б) предложения по расширению номенклатуры изготавливаемых товаров и ее оптимизации с учетом требований и оценок различных групп потребителей. Особое внимание обращается на перечень изделий, производство которых должно быть освоено дополнительно к базовому ассортименту вырабатываемых товаров, чтобы ликвидировать дефицит и обеспечить более полное удовлетворение спроса (в части соотношения принципиально новых и улучшенных изделий, освоения выпуска недостающих товаров, рационального сочетания дешевых и дорогих изделий, восстановления выпуска продукции, снятой с производства без замены и т. п.);

в) мероприятия по обеспечению увеличения производства, улучшению ассортимента и качества, а также расширению продажи населению соответствующих товаров, а именно:

— по развитию и укреплению материально-технической базы и ресурсному обеспечению производства;

— по совершенствованию торговли товарами данного ассортимента.

Каждое такое предложение должно быть охарактеризовано расчетными количественными показателями, которые бы соответствовали параметрам (показателям) программы, на достижение которых они направлены. Расчетные показатели производства приводятся в виде интервально-вариантных величин («вилки»), нижним значением является при этом гарантированный (необходимый) уровень, за пределами которого лежит область дефицита или не достигается требуе-



мое улучшение обеспечения рынка, а верхним — максимально возможный объем выпуска и продажи товаров при проектируемом ресурсном обеспечении. Общими и обязательными для всех предложений являются показатели повышения уровня удовлетворения потребностей рынка и спроса населения (ликвидация или предупреждение дефицитности), эффективности (полноты) использования производственных возможностей, а также размеров требующихся сырьевых, материальных и финансовых ресурсов.

III. Сводный раздел. Включает сводные показатели ЦПРА по отраслям (подотраслям) или специфической группе товаров и объединениям на пятилетку, расчеты эффективности программы и уровня удовлетворения потребностей рынка и спроса населения в изделиях соответствующего ассортимента.

IV. Организационный раздел. Содержит мероприятия по организации и координации совместной деятельности хозяйственных органов торговли и промышленности в процессе реализации ЦПРА, в том числе по изучению и прогнозированию спроса, разработке новых образцов товаров, порядке уточнения заданий программы и т. п., а также по экономическому стимулированию выполнения установленных заданий.

Разработка ЦПРА должна осуществляться в два этапа. На первом республиканские оптовые организации и промышленные объединения (управления министерств) составляют предварительный вариант программы, согласовывают его с компетентными органами территориального управления и направляют соответствующим министерствам, ведомствам для уточнения возможностей по ресурсному обеспечению намечаемых объемов производства товаров. На втором этапе производится корректировка этого проекта ЦПРА с учетом уточненных показателей по производственным ресурсам и выбирается оптимальный вариант программы, который утверждается территориальными органами управления. Утвержденная ЦПРА является руководящим документом, обязательным для всех задействованных организаций, предприятий и учреждений промышленности и торговли. Показатели ЦПРА служат исходной базой при установлении заданий по производству предметов потребления на рубль фонда заработной платы, а также соответствующих показателей в пятилетних соглашениях между хозяйственными органами торговли и промышленности.

Задания ЦПРА по годам пятилетки конкретизируются в текущих (годовых) планах на основе заявок и заказов, которые приобретают в этом случае характер требований на конкретный ассортимент. Весь процесс планирования производства и реализации товаров народного потребления превращается в законченный цикл, увязанный с народнохозяйственным планированием, как это видно из схемы, приведенной на рис. 1.

Переход на предлагаемую схему планирования предполагает также необходимость усиления роли заявок и заказов торговых организаций.

Как уже указывалось, законодательство придает им значение нормативной основы планирования производства и реализации товаров народного потребления. Основной функцией заявок и заказов торговых организаций является ориентация государственных, отраслевых и территориальных органов, производителей товаров в отношении объемов, групповой и внутригрупповой структуры потребностей торговых систем, организаций и предприятий в конкретных видах товаров, которые должны быть предусмотрены в планах производства и поставки на очередной планируемый год. Однако на деле заявки и зака-

зы не в полной мере выполняют свои функции. Главная причина этого в том, что действующим порядком не установлена экономическая ответственность производителей за уровень их обеспечения. Не предусмотрены какие-либо нормативы удовлетворения потребительских заявок и заказов на производство товаров. Это позволяет промышленности устанавливать выгодные для себя объемы производства, ссылаясь на всякого рода «объективные причины» (недостаточность сырья и т. п.). Поэтому первоочередным условием следует считать введение экономических рычагов, нацеливающих поставщиков на более полное обеспечение и учет требований торговли в планах производства и производственных программ по товарам народного потребления.

По нашему мнению, главными критериями качества работы промышленности при формировании указанных планов и программ на основе заказов торговли должны стать: полнота размещения в производстве заказанных торговых товаров, входящих в данный ассортимент; рост производства пользующихся спросом товаров; степень обновления ассортимента продукции по сравнению с предшествующим годом.

Оценка качества работы по подготовке промышленной коллекции образцов должна производиться с учетом намечаемого расширения и обновления ассортимента, а также улучшения качества изделий в соответствии с запросами покупателей. Конечная степень удовлетворения заказов должна оцениваться по итогам заключения договоров на поставку на оптовых ярмарках путем сравнения показателей заказа по объемам (по каждому изделию) и спецификаций к договорам.

Для придания названным выше критериям обязательного характера целесообразно устанавливать производственным объединениям, предприятиям всех отраслей промышленности, вырабатывающих товары народного потребления, следующие расчетные плановые показатели:

— минимальная (гарантийная) степень обеспечения заказа, характеризующая обязательный уровень производства соответствующей продукции. Определяется с учетом степени дефицитности, потребностей торговли в ресурсах, заданий по производству товаров народного потребления на рубль фонда заработной платы и данных паспорта объединения, предприятия;

— максимально возможный объем производства по каждому изделию. Рассчитывается исходя из предпосылки полного обеспечения поставщика всеми видами производственных ресурсов, а также с учетом того, что производство другой продукции не должно ограничивать выпуск данных изделий. Этот показатель сравнивается с данными о фактическом объеме производства соответствующих товаров в году, предшествующем планируемому, чтобы не допустить «вымывания» из ассортимента нужных населению, но невыгодных для производителя изделий;

— обязательная доля изделий с индексом «Н» в общем объеме производства продукции, которая должна быть предусмотрена в производственной программе и включена в промышленную коллекцию образцов-эталонов товаров. Устанавливается с учетом предложений торговли по замене ассортимента.

Одновременно необходимо расширить компетенцию производственных объединений (предприятий) промышленности в вопросах формирования производственных программ за счет известной децентрализации планирования ассортиментной номенклатуры товаров народного потребления, а также ограничения возможностей использования вышестоящими органами своих административных прав для отмены

согласованных решений. Частично данный вопрос может быть решен в результате перехода к планированию производства товаров на основе ЦПРА. Но одного этого недостаточно, требуются экономические рычаги прямого воздействия. Следовало бы, в частности, ограничить показатели плана по основной хозяйственной деятельности, устанавливаемые вышестоящими органами объединениям и предприятиям, по следующим параметрам:

- ; — рост производства продукции по годам пятилетки в натуральном выражении;
- рост производительности труда;
- уровень выполнения планов производства и поставки в согласованном с торговлей ассортименте;
- коэффициент использования производственных мощностей для выпуска товаров народного потребления¹.

В зависимости от последних двух показателей следует поставить фонд заработной платы объединения, предприятия и все его ресурсное обеспечение и финансирование.

Предлагаемые меры будут способствовать повышению ответственности всех звеньев промышленности за более полное обеспечение заявок и заказов и обяжут министерства и ведомства устанавливать более напряженные задания по выпуску товаров народного потребления, полнее использовать для этих целей имеющиеся мощности и резервы производства. Для промышленности будет выгоднее повышать степень удовлетворения заявок и заказов торговли, приближать ассортимент товаров к потребностям рынка и спросу населения. Вместе с тем это освободит производителей от излишней опеки со стороны вышестоящих органов и позволит проводить более гибкую ассортиментную политику.

В этих же целях было бы целесообразно пересмотреть договорную практику. В частности, перейти от годичного договора на так называемую скользящую двухлетку, при которой договор на поставку заключается не на один, а на два года — на предстоящий планируемый и последующий за ним год. Объемы и структура производства и поставки товаров на первый (планируемый) год являются строго обязательными, а на второй год — условно обязательными, то есть подлежащими уточнению по итогам выполнения договора и результатов продажи товаров населению в очередном планируемом году.

Преимущества такого подхода состоят в следующем. Во-первых, открывается возможность полнее учитывать изменения спроса и более гибко реагировать на его изменения. Во-вторых, производители будут лучше ориентироваться в перспективах развития выпуска товаров, заранее готовиться к перестройке ассортимента, а значит, в известной мере будет смягчена зависимость производства от конъюнктуры, повысится его ритмичность. Одновременно возрастает ответственность торговых организаций за обоснованность заявок и заказов.

Представлена отделом политической экономии
Института экономики и права АН СССР

¹ Рассчитывается как отношение планового (или фактического) выпуска продукции к максимально возможному при полном использовании производственных мощностей.

გიორგი ბრეგვაძე

საბარტველოს პურსაცხოზი მრეწველობა დიდი საბარტლო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.).

დიდი საბარტლო ომის წლებში ჩვენი ქვეყნის ფქვილსაფქვაემა მრეწველობამ დიდი ზიანი განიცადა. ომამდელი პერიოდის ფქვილსაფქვაევი მრეწველობის სიმძლავრეთა 47 პროცენტი განადგურდა. ეს დანაკლისი განსაკუთრებით დიდი იყო უკრაინაში, ბელორუსიაში, ყირიმში და ჩრდ. კავკასიაში. ამიტომ, ჯერ კიდევ 1941 წელს 1940 წელთან შედარებით ფქვილის წარმოება შემცირდა 15 პროცენტით, ხოლო ბურღულის 9 პროცენტით, ამასთან დაკავშირებით დიდი სიძნელების წინაშე აღმოჩნდა პურსაცხოზი მრეწველობა, ვინაიდან მსხვილი მარცვლეულის რაიონები, რომლებიც მნიშვნელოვან მატერიალურ ბაზას წარმოადგენდნენ, დროებით ოკუპირებული იყვნენ და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და დამზადება მკვეთრად შემცირდა¹. მოსახლეობა, წითელი არმია და სამხედრო საზღვაო ფლოტი სურსათს და უწინარესად პურს იღებდნენ სახელმწიფო რეზერვიდან, რომელიც ომის დაწყების წინა წლებში შეიქმნა, ამავე დროს ყურადღება დაეთმო მარცვლეულის წარმოების გადიდებას ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1941 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით მოსკოვში, ლენინგრადში და სხვა ქალაქებში დაწესდა პურით და შაქრით ნორმირებული მომარაგება, შემდეგ იგი თანდათან გავრცელდა სურსათის ძირითად პროდუქტებზე (ხორცი, თევზეული, ცხიმი, ბურღული და სხვა).

ნორმირებული საბარტო სისტემა სურსათზე და სამრეწველო საქონელზე შემოღებულ იქნა ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქსა და სამრეწველო ცენტრში². საბარტო სისტემის შემოღებასთან ერთად შეიცვალა ფქვილის ხარისხი, დაშვებულ იქნა მასში ქერის, სიმინდისა და სხვა მარცვლეულის ფქვილის შერევა. ფქვილის ხარისხის ცვლილებებთან დაკავშირებით შეიცვალა პურის ცხოზის ტექნოლოგია და ასორტიმენტი.

ჩვენს ქვეყანაში საბარტო სისტემის შემოღებამ გააუმჯობესა ქალაქისა და ნაწილობრივ სოფლის მოსახლეობის კვების პროდუქტებით ორგანიზებული მომარაგება სახელმწიფო ფასებში. ამასთან ერთად მსხვილ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში შეიქმნა მუშათა მომარაგების განყოფილებები, რომლებსაც ჰქონდათ საკუთარი დამხმარე მეურნეობები. აქედან მიღებული პროდუქტებით მარაგდებოდნენ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, ხოლო ნაწილი პროდუქტებისა ირიცხებოდა მოსახლეობის ცენტრალიზებული გვეგური მომარაგებისათვის. 1945 წლის დამლევს ცენტრალიზებულ მომარაგებაზე იმყოფებოდა უკვე 75,8 მლნ. კაცი.

¹ История социалистической экономики СССР, М., 1978, с. 331.

² იქვე, გვ. 465.

მუშა-მოსამსახურეთა პურის ნორმა შეადგენდა: პირველი კატეგორიის მუშებისათვის ერთ კაცზე დღეში — 800 გრ., მეორე კატეგორიისათვის — 600 გრ. მოსამსახურეების პირველი კატეგორიის, — 500 გრ., მეორე კატეგორიის — 400 გრ., კმაყოფაზე მყოფების — 400 გრ., ბავშვებისათვის 12 წლამდე — 400 გრ. თუმცა ომით გამოწვეული სიძნელეების შედეგად ეს ნორმები ზოგან იცვლებოდა, მაგრამ საერთოდ მოსახლეობა პურზე დადგენილი ნორმით სარგებლობდა, ხოლო 1945 წლიდან ეს ნორმები იზრდება კიდევ³. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ფაშისტურ გერმანიაში 1942 წლის დამლევისათვის პურის სადღეღამისო რაციონი შეადგენდა 320 გრ., იტალიაში — 150 გრ., საფრანგეთში 250 გრ⁴.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე საბჭოთა საქართველოს მთელი სახალხო მეურნეობა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ინტერესებს დაექვემდებარა. მოკლე დროში ომის ყაიდაზე გარდაიქმნა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი და მათ შორის კვების მრეწველობაც, რომელსაც უდიდესი და საპატიო ამოცანა დაეკისრა — მიეცა სამშობლოსათვის რაც შეიძლება მეტი რაოდენობის პურფუნთუშეუღლი, ხორცი, კონსერვი, თევზი და კვების სხვა პროდუქტები.

რესპუბლიკის პურსაცხოზი მრეწველობას რომლის ინდუსტრიული განვითარება პირველ და მეორე ხუთწლიანებში დაიწყო, ჯერ კიდევ არ გააჩნდა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამამულო ომის დაწყებისთანავე პურის მცხოვრებელთა კვალიფიციური კადრები გაწვეული იქნენ წითელი არმიის რიგებში, არ ყოფნიდათ საწვავი, ტრანსპორტი და რაც მთავარია პურის ცხოვისათვის საკმარისი რაოდენობის ფქვილი. ცნობილია, რომ საქართველოს სსრ მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობის პირობებში მარცვლეულის წარმოება ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნას, ფქვილი და მარცვლეული დამატებით შემოჰქონდათ ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან. სამამულო ომის დაწყებიდან მათი შემოზიდვა შემცირდა, ხოლო კავკასიის დაცვის პერიოდში თითქმის შეწყდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ რიგ კომპლექსურ ღონისძიებათა გატარების შედეგად გაიზარდა მარცვლეულის წარმოება. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომლებმა 1942, 1943 და 1944 წლებში 2002 ათასი ტონა მარცვლეული მოიყვანეს, ე. ი. 1940 წლის დონესთან შედარებით 633 ათასი ტონით მეტი. ამის შედეგად რესპუბლიკის მოსახლეობას ომის წლებში პურის განსაკუთრებით მწვავე ნაკლებობა არ განუცდიან⁵.

1941 წლის დასაწყისისათვის „საქპურტრესტის“ (შეიქმნა 1931 წ.) დაქვემდებარებაში მოქმედებდა 127 საწარმო, რომელთა ჯამობრივი სიმძლავრე დღე-ღამეში შეადგენდა 630 ტონა გამომცხვარ პურ-ფუნთუშეულს, მათ შორის იყო 6 ქარხანა, 11 მექანიზებული ფურნე, 110 არამექანიზებული ფურნე და თონე, სადაც დასაქმებული იყო 2894 მუშა-მოსამსახურე. ის-ნი განლა-

³ იქვე, გვ. 466.

⁴ В. Соколов, Р. Казаров, Советская торговля в послевоенный период. М., 1954, с. 48.

⁵ კ. ჩარკვიანი, საქართველოს ეკონომიკა დიდი სამამულო ომის პერიოდში, ჟურ. „ეკონომისტი“, თბ, 1983, № 6, გვ. 32.

გებული იყვნენ თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ხაშურში, ზესტაფონში, ბორჯომში, ტყიბულში, აფხაზეთისა და აჭარის სსრ-ში⁶. პურსაცხოზი მრეწველობის ტერიტორიული გადგილება ჯერ კიდევ ნაკლებად აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ქ. თბილისში პურით ვაჭრობა სტორციელებოდა „თბილპურვაჭრობის“ საშუალებით. „საქპურტრესტის“ საწარმოების მიერ მილიანად წარმოებული პურფუნთუშეულის პროდუქციის 51,3 პროცენტი იყიდებოდა თბილისში⁷.

„საქპურტრესტის“ სისტემაში მყოფი ავტოსატრანსპორტო პარკი ომის დაწყებამდე დაკავშირებით მკვეთრად შემცირდა და იგი მთელი ომის წლების მანძილზე მერყეობდა 40—50 ერთეულამდე, მაგრამ მათი ექსპლუატაცია ძნელდებოდა საწვავის, საბურავებისა და სათანადო ნაწილების ნაკლებობით, ამიტომ მათი გამოყენების კოეფიციენტი იყო მეტად დაბალი. მაგალითად, 1941 წ. ტვირთბრუნვა გეგმით შეადგენდა 1546,2 ტონა კილომეტრს, ფაქტურად შესრულდა 833,1 ტონა კილომეტრით⁸. ყოველივე ეს ხშირად იწვევდა მოსახლეობის პურით მომარაგების გრაფიკის დარღვევას.

„საქპურტრესტის“ განკარგულებაში არსებულმა პურის ქარხნებმა და პურსაცხოზებმა 1941 წ. 19 ოქტომბრისათვის უკვე შეასრულა გეგმა 24,4 პროცენტის გადაჭარბებით და გამოაცხო 229778 ტ. ნაწარმი, ანუ 1940 წელთან შედარებით 25 ათასი ტონით მეტი პურფუნთუშეული.

А имущество (движимость?), внесенное (с собой примаком) и то, чем (тестево хозяйство) встретило его, пусть всякий заберет свое (см. ст. 55, 60 ср. СБА, ст. 72).

60(158)

Если они (примак и тесть) вступили (в сообщество) без записи, — пусть внесенное (поначалу) и приобретенное в труде и тяготах последует за каждым свое, а выжитое и съеденное (совместно потребленное) не помнящегося (см. ст. 53, 59).

61(159)

Сапиро и санахширо²² составляют предпосылаемое полному²³ сисхли — двенадцать тысяч (тегри), половине сисхли — десять тысяч, при захвате (см. ст. 6) — пять тысяч,

²² Так в ППП—1; в рукописях — санахсиби (— окрестности?); однако, не санахави ли, т. е. — для свидания замиряющихся, их мирной встречи лицом к лицу? В ст. 61, и также 62-ой, собственно санахширо нет; относительно него см. выше ст. 25, также — Кз, ст. 2 и ср. ее здесь со ст. 53; См. пр. 24.

²³ В ППП—1, срулиса, в рукописях сулиса — исхли духа, души? См..., пр. 24.

Следует (определять), смотря по тому, кто что, требующее **сисхли**, претерпел (см. с. 62)²⁴.

62(160)

Предпошлите **сапиро** и (**санахширо**)²⁵, каждое своим порядком и пусть так совершится и разрешится суд между ними (враждующими), большому определите большое (удовлетворение), малому — малое.

Это (то, что указано в ст. 61?, — составляет **сапиро**) к **сисхли** (полагающемуся) **глехи**, (что касается) вельмож и **азнаурув** (то их) **сапиро** составит²⁶ тридцать тысяч, семнадцать тысяч, двенадцать тысяч, семь тысяч (**тетри**)²⁷, как кому следует, так (ему) и определите (см. ст. 61).

Б. Варианты

Ст. 33, 64, 72¹, 81 «ЗАКОНОВ БЕКА И АГБУГА» (Врит)

(Ст. 171—175)

1(171)

Если человек **даундобари**, — с которым нет (не установлено) доверенности²⁷, изменит **батону**²⁸ (совершит вероломство, — нападет на его замок?), — карательному-то (взысканию) он не подлежит, а пусть обеспечит **сисхли** одного первейшего (лица из находившихся в замке?)²⁹.

²⁴ **Сисхли**, букв. — кровь, т. е. плата за кровь, — основное композиционное удовлетворение в завершение замирения. **Сапиро**, так сказать, согласительное, склонявшее кровников к началу замирительного процесса (**сапиро** см. также в ст. 14); **санахширо**, так сказать, откупительное, удерживало их от предания вражеского дома огню, обращения его в пепелище, уничтожения очага. См. ППП—1, 631—636.

²⁵ В ППП—1 **санахширо** нет, но, ведь, союз да — «и» требует продолжения (см. пр. 22, к ст. 61). См. пр. 26.

²⁶ Со ставками **сапиро** не все ясно и наш перевод все-таки относителен. «Это... **сисхли**..., **глехи**... **сапиро** составит...» — **эсэ глехиса сисхлиса дидебулта** (ძიღებულთა) да **азнаурта** (აზნაურთა) **сапиро** **икмнебис** (იქმნების), дословно — «Это от **сисхли** **глехи** вельмож и **азнаурув сапиро** будет, составит...». Если тут определяется **сапиро**, одинаковое для всех трех сословий, то о чем же **сапиро** идет речь в ст. 61? И где же ставки **санахширо**?

²⁷ СБА, ст. 33: + **мгерман**, враг. Таким образом, то, что с человеком нет отношений «доверенности», что он **даундобели**, **даундобари**, связывается с состоянием вражды, отсутствием, или нарушением, феодальной связи; в противоположность такому положению **миндобили** — вверившийся трактуется как сторона в феодальном отношении (отношении вассалитета) (ППП—1, Слов.; СБА, Прим., 33, 35).

²⁸ Можно было ожидать, и было бы, пожалуй, уместнее, **патрон-и**: в тексте СБА **патрони** и позднейшая форма **батони** стали, должно быть в ходе времени, из списка в список, перемежаться; в части ЗБгр повсюду — **патрон-и**; ср. в ст. 1 ЗК древнейшее **упал-и** (უფალი) — **патрони**, господь, господин.

²⁹ Ср. в целом со ст. 33 ППП-1. СБА и СБА.

7. „მაცე“, ეკონომიკისა და სავაჭრობის სერია, 1985, № 4.

2(172)

Если человек продаст человеку норовистую лошадь, (и) если он не скажет ему о норовистости, (то, когда) он (покупатель) таковую установит, пусть самую (лошадь) и наезженное (плату за время пользования ею) отдаст (продавцу), а (тот) возместит (покупателю) весь ущерб, какой он из-за той лошади понес (ср. ст. 64 ПГП—1, ЗБА и СБА).

3(173)

Если человек, состоя у человека на положении кма и верно, с усердием (гавленит, ვაჟღებობ) служа ему, из-за понесенных труда и тягот или испытанных ранений по (наступившей) непригодности отойдет от него, (или) состарится, (или) дело какое вынудит его отойти, — с чем он вступил (в подданство), пусть то же (имение) и последует за ним, и — треть приобретенного в трудах и тяготах, ибо он будет достоин жалости и лишен сил (см. следующую ст. 4; ср. ст. 72¹ ПГП—1, ЗБА и СБА).

4(174)

Если у него (отошедшего за непригодностью) будут иметься сыновья (и) последуют за ним³⁰, то владелец имения (у кого в качестве кма он состоял), кроме как принесенного им (с собой), ничего за ним (ними?) пусть не отдает (см. выше ст. 3; ср. УГV, ст. 16).

5(175)

Если у женщины умрет муж и та вдова пожертвует имущество монастырю (вступая в него?), то пусть сыновья не оспаривают у нее (имущества, имения)³¹.

(Продолжение следует в следующем номере)

³⁰ თუ (თუ) შვილინი ახუნენ გაჩუბებენ) допускает и менее вероятный перевод: ...пусть последуют...

³¹ Ср. ст. 81 ПГП—1, ЗБА и СБА; в ней имеется в виду пожертвование недвижимости.

განხილვის წინადადება

დასავლეთის სუბკონტინენტის მხარე ქართულ სამართალში

პასუხისმგებლობის დაფუძნების საკითხი ერთ-ერთი ფუნდამენტალურია სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში. ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის საბოლოოდ გაბატონება უმეტესწილად არ მიმდინარეობდა. იყო პერიოდები ძველი ხალხების ისტორიაში როდესაც ობიექტური შერაცხვის პრინციპი მოქმედებდა. ამისგან არ იყო თავისუფალი არც ქართული სამართლებრივი კულტურა. ბრალის შესახებ მოძღვრება სამართლებრივი აზროვნების განვითარების კვალდაკვალ იხვეწებოდა. თავდაპირველად მისმა მარტივმა ფორმებმა მოიპოვეს არსებობის უფლება, სახელდობრ, განზრახვამ, შემდგომ კი წარმოიშვა გაუფრთხილებლობის ცნება. ამ მოკლე ნაშრომში ჩვენ შევეხებით გაუფრთხილებლობის საკითხს ქართულ სამართალში, სახელდობრ, ვახტანგ VI სამართლის მიხედვით. გაუფრთხილებლობის ცნება მაღალი იურიდიული აზროვნების ნაყოფია. ქართული სამართლებრივი ძეგლები მას საკმაოდ სრულყოფილი ფორმით იცნობენ. მაგრამ რამდენადაც ძველ საქართველოში სისხლისა და სამოქალაქო სამართალი არ იყო ერთმანეთისაგან მკაცრად გამოიჯნული, ამიტომ გაუფრთხილებლობის ცნების ჩვენებისას რამდენადმე ძნელია ერთიმეორისაგან განსხვავება სისხლის — სამართლებრივი ბრალეულობისა და სამოქალაქო — სამართლებრივი ბრალეულობისაგან. ეს აისახა სამეცნიერო წყაროებში. როდესაც მსჯელობაა სისხლის — სამართლებრივი დელიქტის თაობაზე, ხშირად მიმართავენ ასეთ ცნებებს „უხეში გაუფრთხილებლობა“, „მარტივი გაუფრთხილებლობა“ — თანამედროვე სამართალში უხეში და მარტივი გაუფრთხილებლობა წმინდა ცივილისტური ვითარების აღმნიშვნელ ტერმინებად იხმარება. ვახტანგ VI სამართალი იცნობდა გაუფრთხილებლობის ცნებას, რომელშიც კონკრეტული მაგალითები დაგვარწმუნებს. არ უნდა იყოს სწორი ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ თითქმის ვახტანგის კანონები არ იცნობდა ამ ცნებას. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს. გაუფრთხილებლობის ვითარების მკაფიო და გარკვეულ განსაზღვრებას იძლევა ვახტანგის სამართლის 191-ე მუხლი: „კაცმა თუ ორმოს პირი აჯილი გაუშვას და იმაში ან კაცი და ან პირუტყვი ჩავარდეს წმინდა და უწმიდური, ის უნდა ნახონ, თავის ნატამალშია თუ სასოფლოს ადგილსა, ან ის ჩავარდნილი კაცი თუ დედაკაცი ბრმა ყოფილა ანუ მთვრალი, — მოსამართლემ კარგად გამოიკითხოს. თუ თავის ნატამალში ყოფილა ის ორმო, ნახევარს სისხლს შეუა კაცისას თუ პირუტყვისას; თუ სასოფლოს ადგილს ყოფილა, მთელი ეთხოვბის, ამიტომ რომ იცოდა, გზა იყო, რად არ დაბურა“. როგორც ჩანს, შესაძლებელია სუბიექტმა ორმოს თავი ღიად დატოვოს საკუთარ მამულში ან სასოფლო ადგილას. პასუხისმგებლობა ორივე შემთხვევაში დგება და მისი საფუძველია სუბიექტის გაუფრთხილებლობა. საქმე იმაშია, რომ როდესაც ორმოს თავი ღიად დატოვებული სასოფლო ადგილას, მაშინ არაა საჭირო დიდი ცოდნა-გამოცდილება იმის შესაფასების წინადადებად, რომ მასში ადამიანთა ჩავარდნის

მეტი შესაძლებლობაა. სუბიექტი კი დაუდევრად მოიქცა, არ შეასრულა თავისი მოვალეობა. როცა საქმე ეხება საკუთარ მამულში ორმოს თავის ღიად დატოვებას, სუბიექტის ბრალეულობა მსუბუქდება (სწორედ იმიტომ, რომ ორმო საკუთარ მამულშია და სხვა პირთა აქ მოხვედრის შესაძლებლობა მესაკუთრის ნებით შეზღუდულია). ორივე შემთხვევაში გაუფრთხილებლობაა, მაგრამ ერთ შემთხვევაში თუ იგი უხეში ფორმითაა, მეორეგან არ შეიძლება უფრო მსუბუქი არ იყოს. 195-ე მუხლის ანალოგიურია 256-ე მუხლი. თუმც იგი გარკვეული სპეციფიკითაც ხასიათდება. შედარებისათვის მოვიტანთ მის ტექსტს სრულყოფილად: „ან ორმო დარჩეს პირლია, ან ნათხარი რამ ქნას კაცმა და იმაში ჩავარდეს რამე, თუ თავის ნატამალში აქუს, უფრო ვერას შეუვლენ. და, თუ სათემოს, სასოფლოს ადგილს, არა ინაღვლა რა კაცმა, თუ საშემელი პირუტყუი წავდეს, იმაში ჩავარდნილი — ორმო(ს) თუ ნათხარის პატრონს, და საქონლის პატრონს იმისთანა მთელი მისცეს. თუ ცხენი ან ვირი, მაგისტანა, რომ არ იჭმებოდეს, ჩავარდეს, ნახევარი ფასი გარდელუდოს. თუ ყმაწვილი ასეთი ჩავარდეს, რომ პირუტყუთან, ჩავადებოდეს, რაც იწყინოს, მის საფერად მოსამართლემ გაუჩინოს, ჭკუისმყოფელი ან კაცი ან დედაკაცი ჩავარდეს, არა გაუჩინდება რა, ამისათვის (რომე) თვალთ უჩანს, ნუ იქს“.

195-ე და 256-ე მუხლებს თუ შევადარებთ, მათში ერთიმეორის შევსებაც შეიძლება დავინახოთ და ურთიერთწინააღმდეგობაც. წინააღმდეგობა (განსხვავება) იმაშია, რომ თუ 195-ე მუხლი საკუთარ მამულში ამოთხრილ ორმოში ვინმეს ჩავარდნისათვის, ვნების მიყენებისათვის პასუხისმგებლობისაგან არ ათავისუფლებს მესაკუთრეს, დაწესებულია ნახევარი სისხლი, 256-ე მუხლი კი ასეთ ვითარებაში გამორიცხავს პასუხისმგებლობას. 195-ე მუხლის ერთგვარ შევსებად უნდა ჩავთვალოთ 256-ე მუხლის ბოლო პუნქტი, რომელიც ადგენს, რომ დაზარალებულის გაუფრთხილებლობა სუბიექტს ათავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან. კანონმდებელი ყურადღებას მიაპყრობს ამ შემთხვევაში დაზარალებულის ქმედუნარიანობაზე — „ჭკუისმყოფელი ან კაცი ან დედაკაცი ჩავარდეს...“, მაშასადამე წინდახედულობა, სიფრთხილე მართებს დაზარალებულსაც. საინტერესო ისაა, რომ კანონმდებელი ხაზს უსვამს სუბიექტის გაუფრთხილებლობას და სპეციალური ტერმინითაც აღნიშნავს — „არა ინაღვლა რა“. ამდენად, სუბიექტს ევალებოდა მხედველობაში მიეღო, გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი მავნე შედეგი, მაგრამ იგი არაფრად ჩაავდო, დაუდევრობა გამოიჩინა.

ყურადღებას იპყრობს ვახტანგის სამართლის 211-ე მუხლი. მასში მკვეთრადაა ასახული გაუფრთხილებლობა, ასევე შემთხვევაც. გაუფრთხილებლობა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, შემთხვევა კი ათავისუფლებს. აღნიშნულ მუხლში ნათქვამია: „თუ პირუტყუი მიიბაროს კაცმა კაცისა, თუ დაუკარგოს, უნდა უზღოს. და იმან ქურდი იპოვნოს და იმას გამოართვას. თუ ავის პატივით შეუნახოს და მართებულზე ნამეტნავი ამუშაოს, და მჴლე იყოს, მოკუდეს, — უნდა უზღოს. თუ ან კლდეს გარდაავდოს, ან მგელს შეაჭამოს, ამ მტერს მოაკულევინოს, — უნდა უზღოს. თუ, ვინ იცის, ან სენით მოკუდეს, ან სიბრმითა, ტყავი და კორცი პატრონს უნდა მიუტანოს, სხვას არას ემართლება“. როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობის ამსახველი ვითარება კარგადაა გამოკვეთილი. პირუტყვის სიკვდილი სწორედ რომ მისი დაუდევრობით მოხდა, ამუშავა ზომიანე მეტად, ან სათანადო მეთვალყურეობა

არ განახორციელა და ამის გამო მგელმა შექამა, ან მტერმა მოკლა. მაგრამ ამ მუხლში პასუხისმგებლობის გამომორიცხველ ვარემოებებზეცაა საუბარი, სახელდობრ, თუ პირუტყვი სენით მოკვდება ან სიბრმავეით, პასუხისმგებლობა მოხსნილია.

ჩვენ აღარ გავაგრძელებთ სხვა მაგალითების მოტანას, განხილულიდან ჩანს, რომ ვახტანგ VI სამართალმა მოგვცა გაუფრთხილებლობის ცნება. გაუფრთხილებლობა მასში დაპირისპირებულია განზრახვისადმი.

გაუფრთხილებლობა მართალია გამიჯნულია ფათერაქისაგანაც, მაგრამ ჯერ მაინც არაა გამიჯვნის ეს დონე სრულყოფილი. ფათერაქი შემთხვევასაც მოიცავს და უბრალო გაუფრთხილებლობასაც ზოგჯერ.

Б. И. ЗОИДЗЕ

СУБЪЕКТИВНАЯ СТОРОНА ПРЕСТУПЛЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ПРАВЕ

Резюме

В работе рассматриваются вопросы субъективной стороны преступления, в частности — неосторожность. Обосновывается, что древнегрузинское право (Законы Вахтанга VI) включало понятие неосторожности.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილებამ



როგორც ცნობილია, უკანასკნელ წლებში დაწესდა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა რესპუბლიკური შეხვედრები, სადაც იხილავენ შესაბამისი მეცნიერების სფეროში წარმოქმნილ საჭირობოროტო საკითხებს. ამ კარგ ტრადიციას მხარი აუბეს აგრეთვე ქართველმა სწავლულმა იურისტებმაც, რომელთა პირველი თავშეყრა მოხდა ქ. ქუთაისში 1984 წ. 26—27 ოქტომბერს. ეს ღონისძიება მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ე. ხარაძემ. შესავალი სიტყვა წარმოთქვა და შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ენუქიძე. პლენარულ სხდომაზე სწავლულმა იურისტებმა წაიკითხეს მოხსენებები. ამის შემდეგ შეხვედრის მონაწილენი დაიყვნენ სექციებად. სულ ჩამოყალიბდა სამი სექცია: 1) სახელმწიფო სამართლის, სამართლის თეორიის და საბჭოთა აღმშენებლობის, 2) სამოქალაქო სამართლის და 3) სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის და კრიმინოლოგიის.

ჩვენი შურნალის ამ ნომერში ვიწყებთ იურისტთა ხსენებულ შეხვედრაზე წაიკითხული მოხსენებების და სექციების სხდომებზე გამოსულ მეცნიერთა მიერ წარმოთქმული სიტყვების ტექსტის ბეჭდვას (მოხსენებები იბეჭდება შემოკლებით).

თამაზ შავვალიძე

მართლმშენებლობა და სამართლებრივი აღზრდის ამოცანები სპკ XXVI ყრილობისა და სპკ ცკ-ის 1983 წ. ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად

1. საზოგადოებრივი შეგნება ზედნაშენური კატეგორიაა. ამავე დროს მას რეგულაციური ფუნქცია გააჩნია. თუკი ინდივიდუალური შეგნება ცალკეული ინდივიდის ქცევის რეგულატორად გვევლინება, ბუნებრივია, რომ საზოგადოებრივ შეგნებას რეგულაციური ფუნქცია აქვს საზოგადოების მასშტაბით. და თუკი ეს ასეა, მაშინ შეგნებას, როგორც ზედნაშენურ კატეგორიას, რეგულაციური ფუნქცია გააჩნია საწარმოო ძალების მიმართაც. საწარმოო ძალებზე ზემოქმედების გზით საზოგადოებრივი შეგნება ზემოქმედებას ახდენს სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობაზე. სწორედ ამიტომ იდეოლოგიური მუშაობა ეკონომიკური წინსვლის აუცილებელ კომპონენტად იქნა მიჩნეული. როგორც საქართველოს კპ-ის XXVI ყრილობაზე აღინიშნა „უკანასკნელი წლების სოციალურ-ეკონომიკურ მიღწევებს ვერ განვიხილავთ იმ ბრძოლასთან ორგანული კავშირის გარეშე, რომელსაც ვეწვეით ადამიანისათვის, ამაღლებული ზნეობრივ-პოლიტიკური იდეალების, სოციალისტური საზოგადოების ქეშმარიტი სულიერი ღირებულების, საბჭოთაური ცხოვრების წესის ნორმების უფრო ღრმად დამკვიდრებისათვის“¹. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირის კო-

1 ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კპ ცკ-ის საწარმოო მოხსენება საქართველოს კპ XXVI ყრილობას, თბ, 1981, გვ. 93.

მუნიციპალიტეტის პარტია ადამიანის აღზრდას ერთ-ერთ უპირველეს პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნევს. საბჭოთა კავშირის კვ XXVI ყრილობაზე ითქვა, რომ საჭიროა გავაძლიეროთ აღმზრდელიობითი მუშაობა. მხედველობაში მაქვს შრომითი აღზრდაც, ზნეობრივი აღზრდაც და იდეურ-პოლიტიკური აღზრდაც².

ესე როგორც არასდროს, დღეისათვის წინაა წამოწეული ჩვენი თანამედროვის, ადამიანის პრობლემა, ახალი ადამიანის ფორმირება არა მხოლოდ უმნიშვნელოვანეს მიზნად, არამედ კომუნისტური მშენებლობის აუცილებელ პირობად გამოცხადდა საბჭოთა კავშირის კვ ივნისის პლენუმზე.

ამოცანები ნათლადაა განსაზღვრული. ნათელია იდეოლოგიური მუშაობის სტრატეგია და ტაქტიკა. იურისტმეცნიერთა და პრაქტიკოსთა ვალია, ახლებურად ავაგოთ მუშაობა ამ მიმართულებით, გავაუმჯობესოთ იგი არა რაოდენობრივ, არამედ თვისებრივ მონაცემებით.

2. რასაკვირველია, იდეოლოგიურ მუშაობაში, ისიც აკადემიის სისტემაში, მთავარი ყურადღება საკითხის ფუნდამენტურ კვლევას უნდა მიექცეს.

ჩვენი ფუნდამენტური კვლევის ამოსავალ წერტილად მიღებული იქნა დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანთა შეგნებას მთლიანობა ახასიათებს. იგი ქმნის ცნობიერებაში ყოფიერების ასახვის ერთიან სისტემას. აღქმის თვალსაზრისით იგი დიფერენცირებული არ არის და ფსიქოლოგიურად მთლიანობის განცდას წარმოადგენს. ამიტომ მსჯელობა იმაზე, სად მთავრდება ვთქვათ პოლიტიკური შეგნება და სად იწყება მისი მართლშეგნება, მხოლოდ პირობითი მსჯელობაა და ეს საკითხი უფრო მეცნიერების განსჯის საგანს წარმოადგენს, ვიდრე ადამიანის აღქმის ობიექტს. მეცნიერების სხვადასხვა დარგი დიფერენცირებული შესწავლის მიზნით გამოჰყვამს საზოგადოებრივი შეგნების ამა თუ იმ ნაწილს. იმის კვალობაზე, თუ საზოგადოების ურთიერთობის რომელი სფეროს შეგნებისეულ მოწესრიგებას ეხება საქმე, წარმოიშობა მოძღვრებაც საზოგადოებრივი შეგნების შესაბამისი ფორმების თაობაზე.

საზოგადოებრივი შეგნების იმ ნაწილს, რომელიც საზოგადოების სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს ასახავს, მართლშეგნებას უწოდებენ. მართლშეგნებას სამი ძირითადი ფუნქცია აქვს: შემეცნებითი, შეფასებითი და რეგულაციური. ამდენად მართლშეგნების ამაღლება არ გულისხმობს მხოლოდ სამართლის ცოდნის მიწოდებას. ადამიანი მაღალი მართლშეგნებისაა თუ მან იცის კანონი, იზიარებს მის მოთხოვნებს და რაც მთავარია გამომუშავებული აქვს კანონის მოთხოვნის შესრულების მზაობა...

ამგვარად მართლშეგნება საზოგადოებრივი შეგნების ნაწილია. ბუნებრივია სამართლებრივი აღზრდაც იდეური აღზრდის შემადგენელი ნაწილია. შეუძლებელია მასების იდეური აღზრდა, პოლიტიკური აღზრდა, სამართლებრივი აღზრდის გარეშე. სამართლებრივი აღზრდის მიზანი მართლშეგნების ამაღლებაა, რაც თავისი მხრით დანაშაულის თავიდან აცილების ყველაზე ქმედითი საშუალებაა, ვინაიდან მართლშეგნების დონე დანაშაულის ჩადენის ალბათობის პირდაპირპროპორციულია.

მართლშეგნების დონეზე მრავალი სუბიექტური და ობიექტური ხასიათის ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთაგან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზო-

² ლ. ი. ბრეტენევი სკკპ ცკ-ის საანგარიშო მოხსენება, სკპ XXVI ყრილობას, თბ, 1981, გვ. 105.

გადობრივ აზრს. მისი შესწავლის გარეშე მართლშეგნების შესწავლა არ მოგვეცემს სათანადო ეფექტს.

საზოგადოებრივი აზრი სამართალზე, არის მიკრო და მაკრო სოციალურ ჯგუფებში გაბატონებული შეხედულება ანა თუ იმ სოციალურ, კერძოდ, სამართლებრივ მოვლენაზე. აგრეთვე პიროვნებაზე, მის ქცევასა და სოციალურ, კერძოდ, სამართლებრივ ღირებულებაზე. იგი ძირითადად განპირობებულია ამ საზოგადოების წარმოების წესით, სოციალური და პოლიტიკური წყობით. ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობებითა და საზოგადოების შეგნების დონით. საზოგადოებრივი აზრი გვევლინება სოციალური კონტროლის უზრუნველყოფის საშუალებად და „მე“ კონცეპციის ჩამოყალიბების და განმტკიცების წყაროდ.

სამართლებრივი კონტროლი განსაკუთრებით შედეგიანია, როცა მას საზოგადოებრივი აზრი უჭერს მხარს. რაც უფრო მეტ სოციალურ ჯგუფშია გაბატონებული სამართლებრივი კონტროლის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი, მით უფრო შედეგიანია ეს კონტროლი. თუ სამართლებრივი კონტროლის სასარგებლო საზოგადოებრივ აზრს ყველა სოციალური ჯგუფი იზიარებს ისე, როგორც, ეს, მაგალითად მათხოვრობის და სისხლის აღრევის შემთხვევაში არის, სამართლებრივი კონტროლის შედეგიანობა მაქსიმუმს აღწევს.

მართლშეგნების რეგულაციული ფუნქციის მნიშვნელობის გამოკვლევისათვის აუცილებელი გახდა ქვეყნის ფსიქოლოგიური მექანიზმის გამოკვლევა, მართლშეგნებისათვის ადგილის მიჩენა დანაშაულებრივი ქცევის მოტივაციის სტრუქტურაში.

მაღალი მართლშეგნების ადამიანი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს დანაშაულის (ვთქვათ ქურდობის) მიმართ. თუ მას გამომუშავებული აქვს მზაობა, არ ჩაიდინოს ამგვარი მოქმედება, მაშინ ეს დანაშაული (ქურდობა) წინასწარვე იქნება გამორიცხული მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების სიტუაციიდან და მოტივაციის პროცესში ამგვარი ქცევა ან სულ არ აისახება, ანდა მოტივაციის პროცესს შეაფერხებს. თუ სუბიექტი დაბალი მართლშეგნებისაა, მაშინ მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი, არ გადაეღობება დანაშაულის (ქურდობის) მოტივის გამომუშავებას და ამგვარი მოტივი წარმოიშობა კიდევ, თუ მოტივაციის პროცესს სამართლებრივი კონტროლი არ შეაფერხებს.

მართლშეგნებისაგან განსხვავებით სამართლებრივ კონტროლს, როგორც მოტივაციის ობიექტური მხარის ფაქტორს, ზემოქმედების სხვა სტრუქტურა აქვს. მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია. იგი არის ადამიანის შინაგანი რწმენა, მზაობა შეასრულოს სამართლებრივი ნორმა. სამართლებრივი კონტროლი კი ზეგავლენას ახდენს სუბიექტურ მოტივაციის პროცესში სასჯელის მუქარით. ამიტომ შეიძლება ადამიანს დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს, მაგრამ მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლი მოგვევლინოს დანაშაულის ჩადენის მოტივის მიღების შემფერხებელ გარემოებად.

მართლშეგნება თავის რეგულაციურ ფუნქციას ინარჩუნებს იმპულსური ქცევის დროსაც.

მოტივაციის გარეშე კანონის შესრულება მაღალი მართლშეგნების მაჩვენებელია.

განწყობა ყოველთვის ერთი კონკრეტული ქცევის განწყობა არ არის. შეიძლება აღმოცენდეს ე. წ. ინტეგრირებული ქცევის განწყობა, რომელიც

რემდენიმე ქცევას მოიცავს და ავსებს უკვე დაწყებული ქცევის შუალედებს. შუალედი დროით არ არის შეზღუდული. ამგვარი ქცევის განხორციელებას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს. ამ ხნის განმავლობაში კაცმა შეიძლება მრავალი სხვადასხვა გათვალისწინებული თუ გაუთვალისწინებელი ქცევა შეასრულოს, ქცევათა ნაწილი დაკავშირებული იქნება ძირითად მიზანთან, ნაწილს კი მასთან არავითარი კავშირი არ ექნება. სუბიექტისათვის ყველა მის ქცევას ერთნაირი ღირებულება არა აქვს. ადამიანს ესახება ცხოვრების მთავარი მიზანი, იგი მის გენერალურ მიზნად იქცევა, რომელსაც დანარჩენი მიზნები ექვემდებარება. რომელი მიზანი იქცევა ინდივიდისათვის გენერალურ მიზნად, ამას ერთგვარად მოთხოვნილების სიძლიერე განაპირობებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც მოტივაციის პროცესი გადაწყვეტს. მოტივაციის პროცესის მეოხებით გამომუშავდება გენერალური ქცევის მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა.

მას შემდეგ, რაც ადამიანს გამოუმუშავდება გენერალური ქცევის განწყობა, ის უკვე იმგვარად არის მოდიფიცირებული, რომ ყველა დანარჩენი ქცევა გენერალურ განწყობას უნდა დაექვემდებაროს. გენერალური განწყობის შექმნა ნიშნავს ადამიანის მზაობას, განახორციელოს მრავალი ქცევა, მიმართული ერთი გენერალური მიზნის მისაღწევად. ამის შემდეგ რომელიმე სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილების მოტივაციის პროცესში გენერალური მოტივი მოქმედებს უკვე როგორც მოტივაციის უძლიერესი ფაქტორი. მისი ზემოქმედება იმით გამოიხატება, რომ იგი აფერხებს ისეთი ქცევის მოტივის გამოუმუშავებას, რომელიც ეწინააღმდეგება გენერალურ მოტივს, სანამ გენერალური განწყობა არსებობს. იგი გამორიცხავს საწინააღმდეგო განწყობის წარმოშობას. იმისათვის, რომ გენერალური განწყობის საწინააღმდეგო განწყობა წარმოიშვას, ჯერ უნდა მოიხსნას გენერალური განწყობა. ადამიანი ყოველთვის ვერ ახორციელებს თავის მიზნებს, მათ შორის გენერალურ მიზანსაც. შეფერხებას შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათი. მაშინ ადამიანი განაახლებს გენერალური ქცევის მოტივაციას, რის შედეგადაც შეიძლება გამომუშავდეს ახალი გენერალური მოტივი, ან უარყოფილ იქნეს ძველი, ხოლო ახალი აღარ გამომუშავდეს. სანამ გენერალური მოტივი ძალაშია, ყველა დანარჩენი ქცევის მოტივი შეთანხმებული უნდა იყოს მასთან, ყოველ შემთხვევაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას. თუკი ადამიანი ახორციელებს ქცევას, რომელიც ინდიფერენტულია გენერალური განწყობის მიმართ, მაშინ გენერალური განწყობა გაყუჩებულია, იგი, შეგნების ე. წ. პოტენციურ ელში იმყოფება. მისი ფაქტორებმა მხოლოდ შესაბამის ვითარებაში ხდება და ამდენად მას ფიქსირებულ გენერალური განწყობა უნდა ვუწოდოთ. ასეთსავე ხასიათს იძენს გენერალური მოტივი და გენერალური მიზანი. მართლაც, შესაბამისად, ფიქსირებული გენერალური მიზანი უნდა ეწოდოს.

ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ ღირებულებას არაფერი წარმოსახავს ისე მკვეთრად, როგორც ფიქსირებული გენერალური განწყობა, მასი მოტივი და მიზანი. სწორედ ამ ელემენტებში ვლინდება სოციალურ და სამართლებრივ ღირებულებათა მთელი სისტემა, რომელიც, ძირითადად, განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურსა და სამართლებრივ სახეს. ჩაიდენს თუ არ ჩაიდენს კაცს დანაშაულს, ეს სხვა ფაქტორებთან ერთად დიდად დამოკი-

დებულება იმაზე, თუ როგორია მისი ფიქსირებული გენერალური მოტივი და გენერალური ქცევის განწყობა.

სამართლებრივი აღზრდა სწორედ იმას გულისხმობს, რომ მოქალაქეს სამართლებრივი ნორმების შესრულების გენერალური მიზანი, მოტივი და განწყობა შეექმნას და განუმტკიცდეს. რამდენადაც მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივის და შესაბამისი განწყობის გამომუშავება სამართლებრივი ნორმების შესრულების წინასწარ მზაობას ნიშნავს, ამიტომ მართლშეგნების ამაღლება გულისხმობს სწორედ მართლზომიერი ქცევის გენერალური მოტივისა და განწყობის ფიქსაციას. მაღალი მართლშეგნება უკვე უზრუნველყოფს იმას, რომ სამართლის ნორმის მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლის მნიშვნელობა მიეცემა, რომ იგი ადამიანისათვის დამოუკიდებელ სოციალურ ღირებულებად იქცევა და შეესისხლხორცება „მე“ — კონცეფციას, როგორც თავისთავადი სოციალური ღირებულების ფენომენი. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი თავის ეტალონურ ჯგუფად ისეთ სოციალურ ჯგუფს მიიჩნევს, რომელშიც სამართლებრივი ნორმის გაზიარების აზრია გამეფებული. ამგვარი საზოგადოებრივი აზრი სოციალური კონტროლის როლს ასრულებს. მაღალი მართლშეგნების პირობებში მოტივაციის, ერთი მხრივ, სუბიექტური მხარის სამი ფაქტორი, — მართლშეგნება, „მე“ — კონცეფცია და ფიქსირებული გენერალური მოტივი, ხოლო, მეორე მხრივ, მათი შესაბამისი ობიექტური მხარის ფაქტორები ისე წარმართავენ მოტივაციის პროცესს, რომ მოთხოვნებს დასაკმაყოფილებლად უპირატესობა სწორედ მართლზომიერ ქცევას ენიჭება.

მართლშეგნებისა და საზოგადოებრივი აზრის თეორიულმა კვლევამ მისი ემპირიული კვლევის შესაძლებლობა მოგვცა. კვლევის ორივე მეთოდი ერთმანეთს ავსებს და პრობლემის შესწავლის აუცილებელ პირობად გვესახება. აუცილებელი შეიქმნა მოსახლეობის მართლშეგნების, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლე ახალგაზრდობის გამოკვლევა. შესწავლილ იქნა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფსასწავლებლების და უმაღლესი სასწავლებლების დამთავრებული კლასებისა და კურსების მოსწავლეთა და სტუდენტების მართლშეგნება საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. შესწავლის საგანი იყო ახალგაზრდობის გაცნობიერების დონე სამართლის პრობლემებში, მათი დამოკიდებულება სამართლებრივი ნორმებისა და სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტებისადმი, აგრეთვე ის თუ რამდენად ჩახედულია სასამართლო ორგანოების ძირითად ფუნქციებსა და მართლმსაჯულების დემოკრატიულ პრინციპებში. ამას მნიშვნელობა აქვს იმის შესაფასებლად, თუ როგორია სამართლის დამოუკიდებელი სოციალური ღირებულება და მართლმსაჯულების ორგანოთა ავტორიტეტი ახალგაზრდობის თვალში.

სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ დანაშაულისა და სასჯელის პრობლემების სფეროში გაცნობიერების დონე დაბალია.

ასე მაგალითად: ახალგაზრდობის მხოლოდ 24/2%—მა იცის რომ კანონის უცილობლოა გავლენას არ ახდენს პასუხისმგებლობაზე, დანარჩენს ჰგონია, რომ ეს გარემოება ან ამსუბუქებს, ან გამორიცხავს პასუხისმგებლობას. გამოკითხულთა 36% ჰგონია, რომ სიმთვრალე ამსუბუქებს ან გამორიცხავს პასუხისმგებლობას, მაშინ როცა იგი სასჯელის დამამძიმებელი გარემოებაა. 36% ჰგონია, რომ ამხანაგს თუ ნაქურდალს შეუენახავს არ დაისჯება. თუმცა ახალგაზრდობისათვის უფრო მოსალოდნელია დაუდევრობა ცეცხლის ხმარე-

ბაში, გამოკითხულთა 48 %-მა არც კი იცის, რომ ამგვარ დაუდევრობას, თუკი მან მძიმე შედეგი გამოიწვია, სისხლის სამართლის სასჯელი მოსდევს. ახალგაზრდობის მხოლოდ 13,8 %-მა იცის, რომ ქურდობისათვის პასუხისმგებლობა 14 წლის ასაკიდან დგება, დანარჩენს ჰგონია, რომ ამ დანაშაულისათვის პასუხს აგებს მხოლოდ 16 ან 18 წლის ახალგაზრდა.

უნაკლო არ არის მოსწავლე ახალგაზრდობის დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა განხორციელებისადმი და სხვა სამართლებრივი მოვლენების მიმართ.

მოსწავლე ახალგაზრდობა არასწორ დამოკიდებულებას იჩენს პრინციპისადმი, რომლის მიხედვით მხოლოდ შერაცხადი აგებს პასუხს კანონის წინაშე.

ერთგვარი შეწყნარებლობა მკლავნდება ქრთამის მიცემის და აღების მიმართაც. ამ დანაშაულის სიმძიმე სწორად შეაფასა გამოკითხულთა მხოლოდ 17 %-მა.

ხარვეზები შეიმჩნევა მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ მართლმსაჯულების კონსტიტუციური პრინციპის გაგებაშიც. გამოკითხულთა მხოლოდ 60 %-მა იცის, რომ მოქალაქე სისხლის სამართლის წესით შეიძლება დაისაჯოს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

ახალგაზრდობას კარგი წარმოდგენა აქვს საგამომძიებო ორგანოების ოპერატიულ მუშაობაზე. 96 %-ს მიაჩნია, რომ მძიმე დანაშაული გაუნსნელი არ რჩება. სამაგიეროდ მართებულად არ არის სასამართლო საქმიანობის შეფასება. გამოკითხულთა 24,3 %-ს მიაჩნია რომ სასამართლო არ სჯის დამნაშავეს სამართლიანად. დადებითი დამოკიდებულება გამოვლენილი სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტისადმი. გამოკითხულთა 87,5 % თვლის, რომ მსაჯულთა ინსტიტუტი დადებით გავლენას ახდენს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

იუსტიციის მუშაებიდან, ახალგაზრდობას შორის, ყველაზე მეტი პოპულარობით გამოძიებელი სარგებლობს. მოსამართლეობას ყველაზე ნაკლები მოწონება აქვს. ამ პროფესიის შედარებით ნაკლები ავტორიტეტი ერთგვარად განპირობებულია იმითაც, რომ ახალგაზრდობა ნაკლებად ერკვევა მოსამართლის თანამდებობრივ სტატუსში. ცუდად ერკვევა ისეთ კონსტიტუციურ დებულებებში, როგორცაა მოსამართლის არჩევითობა, მისი დამოკიდებულება და სხვა. გამოკითხულთა მხოლოდ 43,9 %-მა იცის, რომ სახალხო მოსამართლეს მოსახლეობა ირჩევს.

ამგვარად, მოქალაქეთა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის მართლშეგნების დონის კვლევა და მისი ამაღლების გზების ძიება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს. იგი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული უბანია.

თენგიზ ლილუაშვილი

სამართლის როლი სასურსათო პროგრამის
ბანხორციელების საქმეში

1. სოციალიზმის პირობებში, როდესაც სახელმწიფო საწარმოო საშუალებათა მესაკუთრეა, მეურნეობის გეგმაზომიერი და მიზანდასახული წარმართვა სამართლის გარეშე საერთოდ შეუძლებელია. საბჭოთა სამართალში ასახულია სკკპ პოლიტიკა საზოგადოებრივ ურთიერთობათა იმ სფეროში, რომელსაც სამართლის ნორმები არეგულირებენ. ისეთი ღონისძიებებიც კი, რომლებსაც ერთი შეხედვით არ აქვთ უშუალო კავშირი სამართალთან, როგორცაა მაგალითად მიწების გავარგისება მათი შემდგომი გამოყენებისათვის, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა, ნიადაგის დაცვა წყლისმიერი და ჰაერისმიერი ეროზიისა და დაჭოპობებისაგან — სამართლებრივი რეგულირების მეშვეობით რეგულირდება. მაგრამ იმისათვის, რომ სამართალმა წარმატებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მისია — ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას საჭიროა რიგი პირობებისა. ერთ-ერთი ასეთი პირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სფეროში მოქმედი ნორმების დასაბუთებულობა, როგორც ეკონომიკური, ისე იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისითაც.

2. ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების სირთულე თავის მხრივ აძნელებს ამ სფეროს მომწესრიგებელი ყველაზე ობტიმალური ნორმატიული აქტის შემუშავებას. სწორედ ამიტომ მიმართავენ ექსპერიმენტს, რომელიც ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში და მათ შორის ეკონომიკაში საშუალებას გვაძლევს ზუსტად და შეუცდომლად განვსაზღვროთ საჭირო გარდაქმნების შინაარსი და ხასიათი, გადაწყვეტილების ყველაზე უფრო ობტიმალური ვარიანტი.

3. ექსპერიმენტის საფუძველზე მიღებული დადებითი შედეგები აისახება სამართლებრივ ნორმებში, რის გამოც ისინი არამარტო ყველასათვის ხელმისაწვდომი ხდება, არამედ დასაწერგადაც სავალდებულო ძალას იძენენ.

თავისთავად ცხადია, რომ ექსპერიმენტის განზოგადოებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ექსპერიმენტის უკლებლივ ყველა კომპონენტი, უკლებლივ ყველა ასპექტი — გამოცდის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ მოგვეცემს სრულყოფილ ეფექტს.

4. საილუსტრაციოდ შეიძლება გავიხსენოთ აბაშის ექსპერიმენტი, რომელიც, როგორც ცნობილია, წარმართა ერთი მეტად საჭირობოროტო საკითხის მოსაგვარებლად. როგორ და რა საშუალებით უზრუნველყოთ გლეხობის ფართო შრომითი მონაწილეობა საზოგადოებრივ მეურნეობაში.

მანამდე არსებობდა ამ პრობლემის გადაჭრის მრავალი ცდა, რომელიც ზოგჯერ იძულების მეთოდის ელემენტებსაც შეიცავდნენ. აბაშელებმა თავიანთი ექსპერიმენტი მთლიანად მატერიალურ წახალისებაზე დაამყარეს: მშრომელ

გლუხს დამატებითი ანაზღაურების სახით ეძლეოდა 10% გეგმის შესრულები-სათვის და 70% ზეგეგმითი მოსავლიდან და ისიც ნატურით.

ამ მეთოდმა სავესებით გაამართლა, ექსპერიმენტმა მოგვცა დადებითი შე-ღეგო.

5. სამწუხაროდ, აბაშის ექსპერიმენტის არსი და პირობები ყველგან ერთ-ნაირად ვერ გაიგეს და ყველგან ერთნაირად ვერ დანერგეს. ამიტომ, ამ ექსპე-რიმენტისადმი ინტერესი თანდათანობით შესუსტდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, გეგმების მოცულობის განსაზღვრის წესში უნდა ვეძებოთ. საქ-მე ისაა, რომ რახან გლუხი თავის შრომის ანაზღაურებას (ნატურით) უმთავრე-სად გეგმის ზევით მიღებული პროდუქტიდან ელოდება, ხოლო გეგმა ისეა შე-მუშავებული, რომ ზეგეგმითი მოსავლის მიღების შანსი ძალზედ შემცირებუ-ლია ან სრულებით არ არის, მაშინ აღარ გვეყოლება საზოგადოებრივ მეურნე-ობაში ფართო შრომითი მონაწილეობის მსურველი.

როგორც ჩანს, ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით უფრო ეფექტიანი იქნება, თუ გლუხს დამატებითი ანაზღაურების სახით ნატუ-რით მიეცემა არა ზეგეგმითი, არამედ მის მიერ მიღებული საერთო მოსავლის გარკვეული ნაწილი.

6. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზ-რის არსებობა. საქმე ისაა, რომ საბაზრო ფასებს ეკონომიკური სტიმულირების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ისინი უცილობლადაა ჩართული ეკონომიკური სტიმულირების ფაქტორთა კომპლექსში.

აქედან გამომდინარე, თუ აბაშელ კოლმეურნეს არ ეზღუდება უფლება გაყიდოს სიმინდი საკოლმეურნეო ბაზარზე, სადაც სიმინდის ფასი მნიშვნე-ლოვნად განსხვავდება მისი სახელმწიფო შესყიდვის ფასებისაგან, მაშინ არც მევენახეობის თუ სხვა რაიონის მშრომელებს უნდა შეეზღუდოთ უფლება სა-კოლმეურნეო ბაზარზე გაყიდონ თავიანთი პროდუქცია, ვთქვათ ყურძენი. ვფიქრობთ, საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე ვენახების ამოძირკვის ასე ფართოდ გაავრცელების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ის არის, რომ ყურძენის სახელმწიფო შესყიდვის ფასი დაბალია, ხოლო მისი საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდვა შეზ-ღუდულია.

რადგან მატერიალური დაინტერესება, წახალისების მეთოდი წარმოად-გენს ადამიანების ქცევაზე ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან საშუ-ალებას — ეს მეთოდი უდავოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. და-დებითი გამოცდილების თუ ექსპერიმენტის შედეგების დანერგვისას კი, ზუს-ტად და სრულად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ გამოცდილების ყველა პირობა.

7. სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის ინტერესები მოითხო-ვენ არა მარტო დასაბუთებული და ყოველმხრივ მოფიქრებული ნორმების შე-მუშავებას, არამედ მიღებული ნორმების ცხოვრებაში განუხრელად გატარებას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არაა. გვაქვს შესანიშნავად შე-მუშავებული საკანონმდებლო აქტები, მაგრამ მათი ცხოვრებაში გატარება ყო-ველთვის ვერ ხერხდება, ხოლო ზოგჯერ აშკარა დამახინჯებებიც გვხვდება.

8. საილუსტრაციოდ შეიძლება ავიღოთ საკანონმდებლო აქტები, რომ-ლებიც მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის საკითხებს არეგულირებენ. ამასთან დაკავშირებით მიღებული

იქნა მრავალი მნიშვნელოვანი დადგენილება როგორც საერთო საკავშირო, ისე ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორია პირად დამხმარე მეურნეობაში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხვედრითი წილი და რა მნიშვნელობა აქვს მას სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ცნობილია ისიც, რომ პირად დამხმარე მეურნეობებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. ამას დასადასტურებლად ისიც საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ცალკეული რაიონის სოფლის მეურნეობის დამზადების გეგმის შემუშავება იმ ანგარიშით ხდება, რომ ამ პროდუქციის ნაწილს მოსახლეობისაგან შეისყიდიან. ამიტომ, თუ ეს პროდუქცია ან მისი ნაწილი მოსახლეობისაგან არ იქნება შესყიდული, გეგმის შესრულებას სრულიად რეალური საფრთხე ემუქრება ან იგი საერთოდ ვერ შესრულდება. იმ მიზნით, რათა უზრუნველყონ მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა ზოგიერთ რაიონში აკრძალულია ამ რაიონის ფარგლებს გარეთ ამ პროდუქციის გასაღების მიზნით გატანა. ასეთი აკრძალვა, სხვა საკანონმდებლო აქტებს რომ დაეანებოთ თავი, ეწინააღმდეგება ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედ იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც კრძალავს არა რაიონის, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გასაღების მიზნით გატანას.

9. შეიძლება თუ არა ამ ურთიერთობის სამართლებრივ და, მაშასადამე, უფრო გონივრულ საწყისებზე მოწესრიგება?

ეს არამარტო შესაძლებელია, არამედ აუცილებელიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე არაერთგზის იყო აღნიშნული ამხ. ე. ა. შევარდნაძის მიერ მოსახლეობასთან კონტრაქტაციის ხელშეკრულების დადების პრაქტიკის აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ მან კვლავ მიუთითა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე. მან კერძოდ აღნიშნა, რომ მოსახლეობასთან კოოპერაცია კვლავ უნდა განვავითაროთ, მთავარია რომ ნაძეტი პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებანი დაიდოს ყოველ კომლთან, რათა ამ სფეროს უკეთ და უფრო გეგმაზომიერად ვმართავდეთ¹.

10. პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ამხ. ე. ა. შევარდნაძის ეს მითითება ყველგან ერთნაირად არ ტარდება. ჩვენი რესპუბლიკის რიგ რაიონში მოსახლეობისაგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ხელშეკრულებები იდება ფორმალურად, ადგილი აქვს აგრეთვე ტიპობრივი ხელშეკრულებებიდან არსებითად გადახვევის შემთხვევებს. მაგალითად, ზოგიერთ რაიონში შემოღებულ სანიმუშო ხელშეკრულებების თანახმად „თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე მოქალაქე დაუშვებს პროდუქციისა და პირუტყვის საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდვას, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანას ან სხვა დამამზადებლებზე მიყიდვას და თავს არიდებს მის შესრულებას, კომლს შეუმცირდება (ჩამოერთმევა) მიწის ნაკვეთი მეურნეობის მიერ დადგენილი ოდენობით“.

მიწის ნაკვეთი გადაცემული აქვს კოლმეურნე გლეხს და სოფლად მომუშავე სხვა კატეგორიის მშრომელებს არა ხელშეკრულებით, არამედ სხვა შესა-

¹ გაზეთი „კომუნისტი“, 1984 წ., აპრილი.

ბამისი საკანონმდებლო აქტებით. ამავე საკანონმდებლო აქტებითაა განსაზღვრული მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის თუ შემცირების საფუძვლები. ცხადია, რომ ხელშეკრულებას არ შეუძლია შეცვალოს კანონმდებლობა და დაადგინოს მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის ან შემცირების ახალი საფუძვლები. მთავარია ისიც, რომ მიწა არ შეიძლება საერთოდ ხელშეკრულების თუ სხვა სახის გარიგების ობიექტი იყოს.

გზხვდება აგრეთვე სხვა სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსახლეობისაგან სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვისათვის ერთგვაროვანი სანიმუშო ხელშეკრულებების შემუშავების აუცილებლობაზე.

იაკობ ფუტხარაძე

საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სრულყოფის კონსტიტუციური საფუძვლები

განვითარებული სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის სტრატეგიული ამოცანა განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალისტური საერთო სახალხო სახელმწიფოსა და მთელი საბჭოთა ხალხის საქმიანობის ძირითად შინაარსს ხანგრძლივ ისტორიულ პერიოდში. სოციალიზმის ორგანული შემადგენელი ნაწილია საბჭოთა სამართლებრივი სისტემა. მასადაამე, საბჭოთა სამართლებრივი სისტემის სრულყოფა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა.

სახელმწიფო სამართლებრივი მშენებლობის საკითხები კომუნისტური პარტიის მუდმივი შტრუქტურის საგანს შეადგენს. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა საბჭოთა კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მიღება. ახალმა ძირითადმა კანონმა უდავოდ აამაღლა სამართლის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საკავშირო კონსტიტუციის მე-9 მუხლისა და რესპუბლიკური ძირითადი კანონების შესაბამისი მუხლების ძალით, საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად გამოცხადდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცება. აღნიშნულ კონსტიტუციებში ხაზგასმულია, რომ საბჭოთა სახელმწიფო, მისი ყველა ორგანო მოქმედებენ სოციალისტური კანონიერების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მართლწესრიგის, საზოგადოების ინტერესებს, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას (იხ. საკავშირო კონსტიტუციის მე-4 და რესპუბლიკური კონსტიტუციების შესაბამისი მუხლები). საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ამ წამყვანი პრინციპის განუხრელად განხორციელებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომუნისტური პარტია.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ მტკიცე ბაზა შეუქმნა საბჭოთა სახელმწიფოებრიობისა და სოციალისტური სამართლის ახალ მძლავრ აღმასვლას. 1977 წლის საკავშირო და 1978 წლის რესპუბლიკური კონსტიტუციების საფუძველზე საბჭოთა კავშირში გაიშალა ფართო სამართალშემოქმედებითი საქმიანობა. მისი დამახასიათებელია ახალი და ფრიად არსებითი მომენტი — მაღალი ინტენსივობა და გეგმაზომიერი განვითარება. ამჟამად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 12 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად, მიღებულია 20 ახალი საკანონმდებლო აქტი, ხოლო 30-ზე მეტი კანონი და ბრძანებულება შეუთანხმდა მოქმედ საკავშირო კონსტიტუციას. ისინი მოიცავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულიად სხვადასხვა სფეროებს. წარმატებით ხორციელდება საკანონმდებ-

ლო აქტებისა და მთავრობის დადგენილებათა მომზადების 1983-1985 წლების გეგმა, რომელიც დაამტკიცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რათა შედგეს საკანონმდებლო საქმიანობის გეგმა ახალი ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის („სოვეტსკოე ვოსუდარსტვო ი პრავო“, 1984, № 10, გვ. 8-9).

შემუშავდა და დამტკიცდა ყველა კანონი, რომლებიც პირდაპირ იხსენიება სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის ტექსტში. აქ მართაოდენ სქემატურად აღვნიშნავთ მხოლოდ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანს იმ კანონებიდან, რომლებიც მიღებულია ბოლო წლებში და რომელთა გამოცემა გათვალისწინებულია საკავშირო კონსტიტუციით (იხ. კრებული — „სსრ კავშირის კონსტიტუცია და საბჭოთა კანონმდებლობის განვითარება“, 1983, რუს. ენაზე).

არსებითი მნიშვნელობისაა კანონი „სსრ კავშირის მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც იხსენიება საკავშირო კონსტიტუციის 33-ე მუხლში. იგი განსაზღვრავს და განამტკიცებს პიროვნებისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამართლებრივ კავშირს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ამასთანავე, მიღებულია კანონი კოლმეურნეთა, ომის ვეტერანთა და ინვალიდთა საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, ახალი რედაქციის ბრძანებულება მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ და სხვ. კონსტიტუციის 58-ე მუხლის შესაბამისად გამოიცა ბრძანებულება მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ. 1980 წლის 23 ოქტომბერს დამტკიცდა საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ, ხოლო 1981 წლის 24 ივნისს საკავშირო უმაღლესმა საბჭომ მიიღო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები.

ახალი კონსტიტუციის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა უარესად მნიშვნელოვანი აქტები, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობას. სახელდობრ, 1978 წლის ივლისში მიღებულია კანონი „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, ხოლო მომდევნო წლის აპრილში დამტკიცდა სსრკ უმაღლესი საბჭოს მედშივი კომისიების შესახებ და კანონი დეპუტატთა სტატუსის შესახებ, 1980 წლის ივნისში — კანონი სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების საბჭოების შესახებ.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა 1978 წლის 5 ივლისის კანონი „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ“, კონსტიტუციის მე-8 მუხლის საფუძველზე 1983 წლის ივნისში მიღებული კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე საკავშირო კანონი სახალხო კონტროლის შესახებ.

სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებასა და ფუნქციებს განსაზღვრავს 1979 წლის ნოემბერში მიღებული კანონები საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს, პროკურატორის, სახელმწიფო არბიტრაჟისა და ადვოკატურის შესახებ.

1977 წლის კონსტიტუციის დებულებათა შესატყვისად აისახა სათანადო ახალ საკანონმდებლო აქტებში საბჭოთა საგარეო პოლიტიკის პრინციპები, სოციალისტური სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების ამოცანა (კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების, შესრულებისა და დენონსაციის წესის შესახებ, კანონი სახელმწიფო საზღვრის შესახებ და სხვ.).

სსრ კავშირის 1977 წლის ძირითადი კანონისა და 1978 წლის რესპუბლიკური კონსტიტუციების ბაზაზე, მნიშვნელოვანწილად განახლებული თუ სრულიად ახალი საკავშირო საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ვითარდება მოკავშირე და აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა. საკანონმდებლო სამუშაოები გულდასმით შემუშავებული გეგმების მიხედვით მიმდინარეობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოსა და მის ავტონომიურ რესპუბლიკებში — აფხაზეთსა და აჭარაში.

საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი სადღეისო ამოცანები განსაზღვრულია სკკპ XXVI ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში. სახელდობრ, წამოყენებულია კანონმდებლობის სრულყოფის სამი ძირითადი მიმართულება — სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა, მოქალაქეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კონსტიტუციურ უფლებათა განხორციელება, საერთო-საკავშირო კანონთა კრებულის გამოცემის დამთავრება. კანონმდებლობის ასეთი განვითარება კიდევ უფრო გააუმჯობესებს საბჭოთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივ რეგულირებასა და სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას, ხელს შეუწყობს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სრულყოფას.

ლაშარა სურგულაძე

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
საქმიანო სამართალდარღვევისათვის

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, ახალმა მიმართულებებმა მედიცინაში მწვავედ დააყენა სამედიცინო პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგების, კერძოდ, დიაგნოსტიკის და მკურნალობის არასასურველი შედეგების განხორციელებისას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების ზუსტად დადგენის საკითხი.

იურიდიული თვალთახრისით საკითხის სწორად გადაჭრა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ იგი გართულებულია იმით, რომ მას მიეძღვნა მედიცინის დარგის წარმომადგენელთა მრავალი ნარკვევი, სადაც უგულვლყოფილია სისხლის სამართლის თეორიის ძირითადი დებულებები. ასე, მაგალითად, ექიმთა ნაწილს მიაჩნდა, რომ ექიმმა საერთოდ არ შეიძლება პასუხი აგოს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მავნე შედეგებისათვის და მისი ერთადერთი განსჯელი მხოლოდ მისი სინდისია. სხვები ასე შორს არ მიდიან. საექიმო ხასიათის დასჯადი დარღვევების საკითხის გადაჭრისას ისინი ფართოდ იყენებენ ე. წ. „საექიმო შეცდომის“ ცნებას და ამასთან დაკავშირებით სამედიცინო ხასიათის ყველა იმ მოქმედებებს, რომელთაც არასასურველი შედეგი გამოიწვიეს, ყოფენ სამ ჯგუფად: 1. უბედური შემთხვევები, რომელსაც ექიმს არ შეუძლია მავნე შედეგების გათვალისწინება და მათი თავიდან აცილება; 2. საექიმო შეცდომები და 3. დასჯადი დარღვევები (პროფესიული დანაშაული). ორივე უკანასკნელ შემთხვევაში ირღვევა ოფიციალურ დოკუმენტებში გადმოცემული, სამედიცინო მეცნიერების მონაცემებით განმტკიცებული და პრაქტიკით დამკვიდრებული წესები. მაგრამ საექიმო შეცდომის დროს არასასურველი შედეგები გამოწვეულია როგორც სამედიცინო დარგის მონაცემების უსრულობით, ისე ექიმის არასაკმაო ცოდნით, ხელოვნებით ან გამოუცდევლობით. ექიმმა ამ შემთხვევაში არ შეიძლება აგოს პასუხი; იგი ამ დროს კეთილსინდისიერად მოქმედებს, გულწრფელად ცდილობს დაეხმაროს ავადმყოფს, მაგრამ არსებითად მისი მოქმედება მცდარია. პროფესიული დანაშაული კი, გულისხმობს საქმისადმი ექიმის არაკეთილსინდისიერ, დაუდევარ და უყურადღებო დამოკიდებულებას.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა არაა სწორი, მართალია, მედიცინის მუშაკის პროფესიული საქმიანობის იურიდიული შეფასება გაცილებით რთულია, ვიდრე სხვა რომელიმე დარგის წარმომადგენლისა, ვინაიდან იგი ძნელად ექვემდებარება ოფიციალურად თუ არაოფიციალურად დადგენილ წესებს, მაგრამ მაინც ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ვალიაოთ იგი საქმიანობის რაღაც განსაკუთრებულ სახედ და შემოვიღოთ მის შესაფასებლად განსხვავებული ცნებები და ტერმინები; ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა, მისი ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება ისეთი შედეგებია, რომლისთვისაც სისხლისსამართლებრივი აკრძალვა ვრცელდება ადამიანთა მოღვაწეობის უკლებლივ ყველა სფეროზე. აქ, მთავარი და ძირითადია დადგინდეს არის თუ არა ექიმის მოქმედება ყოველთვის მართლსაწინააღმდეგო, როდესაც არასასურველი შედეგია.

განხორციელებული, ე. ი. შეესატყვისება თუ არა ეს მოქმედება იმ მოთხოვნებს, რომლებიც სხვადასხვა ინსტრუქციებში და დადგენილებებშია გადმოცემული და რომელსაც სამედიცინო მეცნიერება და პრაქტიკა უყენებს განვითარების დღევანდელ პირობებში ამ დარგის მუშაკებს. ესაა პირველი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოქმედების საბოლოო სამართლებრივი შეფასების გზაზე და უკვე ამ სტადიაზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა ქმედობის იურიდიული ბუნების თაობაზე, როგორც ცნობილია, ქმედობის საზოგადოებრივი საწინააღმდეგობის იურიდიულ გამოხატულებას მისი მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს. თუ დარღვეულია აუცილებლად შესასრულებელი განსაზღვრული წესი, უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი ექიმის მოქმედებასა და განხორციელებულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის, მაგრამ მიზეზობრივი კავშირი სისხლის-სამართლებრივად პასუხისმგებლობის პირველი ძირითადი ობიექტური წანამძღვარია, რომელიც ერთი მოვლენიდან მეორის წარმოშობაზე მიუთითებს მხოლოდ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის საჭიროა განსაზღვროს მედიცინის მუშაკის ბრალი შედეგის დადგომამში. ბრალის ის ძირითადი დებულებები, რომლებიც შემუშავებულია სისხლის სამართლის თეორიის მიერ და განმტკიცებულია სასამართლო პრაქტიკით, აქაც მთლიანად ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას, ისევე როგორც საქმიანობის ყველა სფეროსათვის, ე. ი. გაუფრთხილებელი ბრალის მხოლოდ ორივე კრიტერიუმის — ობიექტურის და სუბიექტურის თანარსებობა დასაბუთებს მედიცინის მუშაკის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ზემოთქმულიდან გამომდინარე „საექიმო შეცდომის“ ცნება თავისთავად არ შეიძლება დაეუპირისპიროთ დანაშაულის ცნებას. განსაზღვრულ პირობებში, კერძოდ ბრალის არსებობისას შეცდომა დასასჯელ, დანაშაულებრივ შეცდომად, მაგრამ მაინც შეცდომად რჩება. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდეს, დაბოლოს იგი შეიძლება არც იყოს მისი ჩამდენი პირის ბრალეული ქცევის შედეგი: ამიტომაც ექიმის მიერ უცოდინარობის ან გამოუცდევლობის გამო დაშვებული შეცდომა, რამაც სავალალო შედეგი გამოიწვია, თუნდაც საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დროს, როდი გახდება მისი სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების უპირობო საფუძველი. უნდა ითქვას რომ, პროფესიული შეცდომა არაა მხოლოდ სამედიცინო ტერმინი და აქაც ისე, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ სამედიცინო ცოდნისა და გამოცდილების რა ღონეა მიჩნეული სავალდებულოდ ამა თუ იმ დიაგნოსტიკურ-სამკურნალო ხასიათის ღონისძიებების გატარებისას, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდის შეიძლება პირმა პასუხი აგოს უცოდინარობისა და გამოუცდევლობისათვის. უნდა ითქვას, რომ განსაზღვრული ცოდნა და გამოცდილება მოეთხოვება ყოველი დარგის სპეციალისტს და მითუმეტეს მედიცინის დარგის მუშაკს. ესაა მისი არა მორალური, არამედ იურიდიული მოვალეობა. მხოლოდ იმიტომ, რომ ავადმყოფი ექიმში ხედავს თავისი საქმის მცოდნე სპეციალისტს, იგი ანდობს მას თავის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომაც მედიცინის დარგის მუშაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, როდესაც ვერ ვუსაყვედურებთ მას სათანადო ცოდნისა და გამოცდილების უქონლობას, როდესაც მან ეს ცოდნა და გამოცდილება ვერ შეიძინა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და მხოლოდ გამონაკლისის სახით უცოდინარობამ შეიძლება გამორიცხოს გაუფრთხილებლობა.

ფანა 85 კმ.

ინტეკსი 76196